



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო
პროგრამების კლასტერის შესახებ

მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი: 12-13 აპრილი 2023 წ.,

ანგარიშის პროექტის წარდგენის თარიღი: 19 ივნისი, 2023 წ.

თბილისი

შინაარსი

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა.....	5
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან	11
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა.....	11
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	22

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება მისი ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმის მითითებით	საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი, შპს.
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204886454
დაწესებულების ტიპი	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	მიხალი ბოროსი, სზეგედის უნივერსიტეტი, სზეგედი, უნგრეთი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ გოდერიძე, საქართველოს უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლა, თბილისი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ქეთევან კანკავა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირაკლი გაგუა გაგუას კლინიკა, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი მღვდელაძე, სტუდენტი ექსპერტი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო

¹ ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: გთხოვთ, მიუთითოთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც ახორციელებენ აღნიშნულ პროგრამას. საიდენტიფიკაციო კოდისა და დაწესებულების ტიპის მითითება სავალდებულო არ არის, თუ უსდ აღიარებულია უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი განათლების პროგრამის დასახელება (ქართულ ენაზე)	მედიცინა
უმაღლესი განათლების პროგრამის დასახელება (ინგლისურ ენაზე)	Medicine
უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი, უმაღლესი განათლების II საფეხური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	დიპლომირებული მედიკოსი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0912 მედიცინა
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/ საგნების ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ³	არ შეესაბამება
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	360
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	პირობითად აკრედიტებული, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N 706151 (13.07.2021წ.)
დამატებითი მოთხოვნები პროგრამაზე დაშვებისთვის (მხატვრულ-შემოქმედებითი და/ან სპორტული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, შემოქმედებითი ტურის/შიდა კონკურსის გავლის შემთხვევაში, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიკური მოთხოვნები)	არ შეესაბამება

²უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში, თუ კვალიფიკაციის მისანიჭებელი წოდება განსხვავდება, იგი ცალ-ცალკე მიეთითება თითოეული დაწესებულებისთვის.

³ ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისა და მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამაზე⁴

ეს ანგარიში დაწერილია საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (NCEQE) მიერ დანიშნული ექსპერტთა ჯგუფის მიერ. რეზიუმე ეფუძნება თვითშეფასების ანგარიშის (SER) ანალიზს, უსდ-ს მიერ მოწოდებულ დამატებით დოკუმენტებს და ადგილზე ვიზიტს. დადგინდა, რომ თვითშეფასების ანგარიში აგებული იყო NCEQE სტანდარტების მიხედვით და მონაცემთა საბოლოო კრებული შეიცავდა საკმარის ინფორმაციას პროგრამის ხარისხის შესაფასებლად. პროგრამის პროცედურულ თუ აკადემიურ საკითხებთან დაკავშირებული რეგულაციები და სახელმძღვანელო პრინციპები მკაფიოა და ისინი სრულად ხელმისაწვდომი გახდა ექსპერტთა ჯგუფისთვის. ავტორიზაციის განაცხადი შეესატყვისებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის სტანდარტებს, საქართველოს კანონს „უმაღლესი განათლების შესახებ“ და უმაღლესი განათლების მედიცინის სფეროს დარგობრივ მახასიათებლებს. კოლეგიალურ მიმოხილვაზე დაფუძნებული გარე შეფასება ამ პერსპექტივიდან ეტაპობრივად განიხილავდა საგანმანათლებლო პროგრამას, კურიკულუმს, სასწავლო პროცესებს, საგანმანათლებლო მეთოდებს, შენობებს, ადამიანურ და ტექნიკურ რესურსებს და განათლებისა და ტრენინგის საბოლოო პროდუქტს.

თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის (სდასუ) ქართულენოვანი მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტებულია 2011 წელს. შემდეგ, ხელახალი აკრედიტაციისთვის წარედგინა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (NCEQE) და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით (N 706151, 13.07.2021 წ.) პროგრამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია 2 წლის ვადით.

სდასუ-ს (შემდგომში უნივერსიტეტი) მიერ მოწოდებული აღწერილი სტატისტიკის მიხედვით, აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა ამჟამად არის 88 (56 აკადემიური და 32 მოწვეული პერსონალი, სამეცნიერო პერსონალის გარეშე), ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა არის 14. მიღებულ სტუდენტთა რაოდენობაა დაახლოებით 130 სტუდენტი წელიწადში; ჩარიცხვის კვოტები არ შეცვლილა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში. სტუდენტთა საერთო რაოდენობა წარმოდგენილი სტატისტიკური ცხრილის მიხედვით არის 603, ხოლო უსდ-მ მოითხოვა სულ 700 სტუდენტის კვოტა მომავალი წლებისათვის.

სდასუ-ს ერთსაფეხურიანი „მედიცინის“ პროგრამა შეესატყვისება კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ სისტემას (ECTS) და მოიცავს 360 ECTS კრედიტს. სწავლის ხანგრძლივობაა 6 სასწავლო წელი - 12 სემესტრია. პროგრამა მიმდინარეობს "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, ეროვნული კვალიფიკაციების განახლებული ჩარჩოსა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განსაზღვრული უმაღლესი სამედიცინო განათლების მოქმედი დარგობრივი მახასიათებლების შესაბამისად. პროგრამაში შედის ინგლისური ენის B2 დონის სავალდებულო სასწავლო კურსი.

▪ აკრედიტაციის მიმოხილვა ადგილზე ვიზიტის

ექსპერტთა ჯგუფის თითოეულმა წევრმა მიიღო 2-3 ქვესტანდარტი, რომლებიც მათ მიზანმიმართულად უნდა შეესწავლათ და დათანხმდნენ წამყვანი როლის შესრულებაზე განხილვის პროცესში. დღის წესრიგი წინასწარ იყო შეთანხმებული. ადგილზე ვიზიტის მთელი პროცესი განხორციელდა 2023 წლის 12-13 აპრილს. ექსპერტთა ჯგუფს

⁴ პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიწოდებისას მიზანშეწონილია წარმოადგინოთ საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივ მონაცემთა ანალიზიც.

ხელმძღვანელობას უწევდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელი. აქვე გამართა ორგანიზებული შეხვედრები დაინტერესებულ მხარეებთან. ვიზიტის პირველ დღეს მოეწყო შეხვედრა სდასუ-ს ადმინისტრაციასთან (ესწრებოდნენ რექტორი, მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, ფინანსური დეპარტამენტის უფროსი, მედიცინის ფაკულტეტის მთავარი სპეციალისტი). ხოლო შემდეგ გამართა ტური კლინიკურ სწავლებაში ჩართულ საავადმყოფოებში Healthcore-ში (ისრაელ-საქართველოს მრავალპროფილური კლინიკაში), ინფექციური დაავადებების, შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის კვლევით ცენტრში და კამპუსში, სადაც დათვალიერებულ იქნა საგამოცდო ცენტრი, ანატომიის სალექციო დარბაზი, ბიოქიმიის ლაბორატორია, უნარების ცენტრი, ბიბლიოთეკა და სტუდენტების მეცადინეობის ადგილები. მე-2 დღეს მოეწყო შეხვედრები თვითშეფასების ჯგუფის მოწვეულ წევრებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, დამსაქმებლების წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და ბოლოს ხარისხის უზრუნველყოფის ოფისის ხელმძღვანელთან. ამის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფმა გამართა დახურული შეხვედრა სტანდარტების შესახებ დასკვნისათვის და უსდ-ს წარმომადგენლებთან უკუკავშირის სესიისთვის მოსამზადებლად, რომლის დროსაც მათ წარუდგინეს პირველადი დასკვნები. დისკუსიების, შეხვედრების ოფიციალური ენა იყო ინგლისური სინქრონული თარგმნით ქართულზე პროფესიონალი თარგმანის დახმარებით. უნდა აღინიშნოს, რომ ადგილის დათვალიერების ყველა ელემენტმა დადებით და თავაზიან ატმოსფეროში ჩაიარა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

მთლიანობაში, ქართულ და ინგლისურ ვერსიებზე წარმოდგენილი დოკუმენტაცია კარგად იყო ორგანიზებული. ჩანაწერები მოიცავდა სასწავლო საგნების წარდგენასაც ქრონოლოგიური თანმიმდევრობით (სილაბუსებით). ასევე წარმოდგენილი იყო ინფორმაცია სემესტრში თითოეული საგნისთვის გამოყოფილი ECTS კრედიტების ოდენობის, ტუტორების, მასწავლებლების და მათი კვალიფიკაციის/გამოცდილების (CV-ები) შესახებ. მიუხედავად ამისა, ჯგუფმა ასევე მოითხოვა დამატებითი დოკუმენტაცია. ჯგუფმა მიიღო უახლესი ანალიზი, რომელიც აჯამებდა საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობას სტანდარტებთან და ამ გზით ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა შედარების შესაძლებლობაც - შეეფასებინა, რამდენად იქნა გათვალისწინებული წინა რეკომენდაციები და რჩევები უნივერსიტეტის მიერ. ამიტომ, მიმდინარე შეჯამებაში ჩვენ თავი შევიკავეთ განმეორებისაგან, თუ გამოვლენილი სიტუაცია ან პოზიციები სტანდარტებთან მიმართებაში არ განსხვავდებოდა წინა შეფასებისაგან ან მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. ასეთ შემთხვევებში ჩვენ მივუთითებთ ექსპერტთა წინა დასკვნაზე (თავმჯდომარე რადკა ფილიჩიკოვა, პალაკის უნივერსიტეტი ოლომოუცი, ჩეხეთი) და კიდევ ერთხელ გირჩევთ გაითვალისწინოთ ანალიტიკური შედეგები.

ექსპერტთა ჯგუფმა გამოთქვა საერთო მოსაზრება, რომ სდასუ უზრუნველყოფს დამაკმაყოფილებელ პრეკლინიკურ ფონს კლინიკური კურსებისათვის და ამ მხრივ გამოიკვეთა რამდენიმე ძლიერი მხარე:

- ხარისხის უზრუნველყოფა, ძირითადად, თავის ადგილზეა და მიუხედავად იმისა, რომ „ხარისხის კულტურა“ სრულად არ არის ჩამენებული მთელ დაწესებულებაში, აშკარა არის მიზანი, მკაფიო დეკლარირებით, რომ პერსონალის ყველა წევრი იყოს ჩართული ამ კულტურის შენარჩუნებაში.
- ყველა სტუდენტმა გამოავლინა ენთუზიაზმი და ერთგულება უნივერსიტეტის ინსტიტუციური ღირებულებებისადმი.
- უფროსმა და უმცროსმა პერსონალის წევრებმა, კლინიკურმა ტუტორებმა - ყველამ გამოხატა თავისი „კორპორატიული იდენტობა“ და ღრმა ვალდებულება სამედიცინო

სკოლის მომავალი წარმატებისადმი.

- დამსაქმებლები მხარს უჭერენ, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი მაღალია (90%-ზე მეტი პროგრამის ბოლო 5 წლის განმავლობაში).
- ასევე მოწონებულია სტუდენტების ჩართულობა სამეცნიერო საქმიანობაში და სტუდენტების მხარდაჭერის სერვისების მრავალი ასპექტი.

თუმცა არის გარკვეული პუნქტები, სადაც პროგრამის კომპონენტები სრულად არ შეესაბამება მოთხოვნებს და ამ შემთხვევაში, არის გარკვეული რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც მიზნად ისახავს პროგრესს.

სტანდარტი 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, მეტწილად შესაბამისობაშია

სტანდარტი 2. სწავლების მეთოდოლოგია ნაწილობრივ შესაბამისობაშია

სტანდარტი 3. სტუდენტების მიღწევები შეესაბამება

სტანდარტი 4. სასწავლო რესურსების უზრუნველყოფა მეტწილად შესაბამისობაშია

სტანდარტი 5. სწავლების ხარისხის განვითარება მეტწილად შესაბამისობაშია

▪ რეკომენდაციები

- უნივერსიტეტმა უნდა დაიწყოს კურსდამთავრებულთა შემდგომი გამოკითხვები ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის მეშვეობით, პროგრამის შედეგების (კარიერული სფერო და თანამდებობა) მონიტორინგის მიზნით. ამან შეიძლება გააძლიეროს საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა და უზრუნველყოს ეფექტური მარკეტინგული სტრატეგია.
- უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს პერსონალის სავალდებულო ტრენინგი სილაბუსებში ჩამოთვლილ სწავლების მეთოდოლოგიაზე.
- გაუმჯობესდეს რეალურ პაციენტებთან სტუდენტების რეალური კლინიკური სწავლების რაოდენობა და თანმიმდევრულობა.
- უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს სამედიცინო სფეროსათვის მისაღები ეთიკის კოდექსი. ეს უნდა იყოს კლინიკური და სამედიცინო კომუნიკაციის კურსების მნიშვნელოვანი ნაწილი. ის უნდა იყოს საჯარო და ხელმისაწვდომი საუნივერსიტეტო საზოგადოების ყველა წევრისთვის ვებგვერდის საშუალებით.
- დაწესებულებას უნდა ჰქონდეს საკუთარი სასწავლო და კვლევითი ლაბორატორია, ადეკვატურად აღჭურვილი, სამეცნიერო კვლევის კომპონენტის გათვალისწინებით.
- პრეკლინიკურ კურსებში და სიმულაციური ტრენინგის დროს შექმნილი პროცედურული და კომუნიკაციის უნარები უნდა იყოს ინტეგრირებული კლინიკურ სასწავლო გეგმაში სამივე დონეზე (გაცნობა, გაღრავება და განმტკიცება). ამ შემთხვევაში საჭირო იქნება სასწავლო გეგმის გადახედვა და შეცვლა.
- უნდა გაიზარდოს პროგრამის ვერტიკალური ინტეგრაცია.
- უნივერსიტეტს უნდა ჰქონდეს მკაფიო პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს ურთიერთკავშირს სამედიცინო განათლებასა და კვლევებს შორის. გეგმები უნდა დაისახოს სამეცნიერო სტრატეგიაში. სამეცნიერო სტრატეგია ასევე მკაფიოდ უნდა ითვალისწინებდეს პროგრამის ადამიანური რესურსების განვითარების საჭიროებებს.
- შესრულების ძირითადი ინდიკატორები უნდა იყოს ინგლისურ ენაზე და გამოქვეყნებული ვებგვერდზე.
- მეტი აქცენტი და დრო უნდა დაეთმოს ბოლო სემესტრებში (VI წელი) კლინიკურ როტაციებსა და პრაქტიკულ სამედიცინო სამუშაოებს ზედამხედველობის ქვეშ.
- უნდა განისაზღვროს ზედამხედველობის წესები, კლინიკურ საგნებში ჩართული კლინიკური დამრიგებლების შერჩევის კრიტერიუმები პასუხისმგებლობებთან და

სწავლების ხარისხის კონტროლის მექანიზმებთან ერთად.

- უსდ-მ უზრუნველყოს კლინიკური უნარების სწავლება განახლებული დარგობრივი მახასიათებლების შესაბამისად; მიმდინარე საორიენტაციო დოკუმენტით მოთხოვნილი სწავლის მეთოდოლოგიები გათვალისწინებული იყოს პროგრამის აღწერაში, სილაბუსებში და რაც მთავარია რეალურ პრაქტიკაში.
- უსდ-მ უზრუნველყოს, საკმარისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების არსებობა სილაბუსებში და დარგობრივ მახასიათებლებში ჩამოთვლილი უნარების სწავლებისათვის.
- უსდ-მ უზრუნველყოს პროგრამის აღწერილობითი ნაწილის შესაბამისობა სილაბუსების შინაარსთან, და რამდენადაც ადრეული კლინიკური მიდგომაა გათვალისწინებული, უზრუნველყოს ასევე მისი ხაზგასმა სილაბუსებში და განხორციელება პრაქტიკაში.
- განახლდეს ლიტერატურის ჩამონათვალი სილაბუსებში, თუ ჰენდაუთები ფართოდ გამოიყენება, უსდ-მ უზრუნველყოს ჰენდაუთების შინაარსის სათანადო ხარისხის კონტროლი, რათა სასწავლო მასალა შეესაბამებოდეს მისაღწევ სწავლის შედეგებს.
- უსდ-მ უზრუნველყოს არჩევითი საგნების მრავალფეროვნება და გაზარდოს მათი თანაფარდობა სემესტრების განმავლობაში.
- გაუმჯობესდეს კლინიკური უნარების ცენტრის საქმიანობის ეფექტიანობა.
- უნივერსიტეტს უნდა ჰქონდეს ინფორმაცია კლინიკური მოდულების განმხორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო ცენტრის/კლინიკის შესახებ, ასევე ცხრილი/გრაფიკი კონკრეტული სასწავლო კურსის განმავლობაში სტუდენტთა რაოდენობის ერთდროულად მიღების შესაძლებლობის შესახებ.
- რეკომენდებულია უნარების ცენტრში დასაქმდეს სპეციალისტი საგანმანათლებლო მენეჯერი/ასისტენტი, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მუდმივ მხარდაჭერას.
- უსდ-მ დაისახოს ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის (OSCE) განხორციელების რეალისტური გეგმა ოთახების, აღჭურვილობისა და პერსონალის ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით.
- გაიზარდოს აღჭურვილობის მრავალფეროვნება და ხარისხი კლინიკური უნარების ლაბორატორიაში, რათა უზრუნველყოფილ იქნას OSCE-ს ჩატარება დარგობრივი მახასიათებლების შესაბამისად.
- დაიგეგმოს OSCE ისე, რომ შეიცავდეს მინიმუმ 10 სადგურს.
- უსდ-მ უზრუნველყოს, რომ დარგობრივი მახასიათებლებით განსაზღვრული კრიტიკული უნარები სათანადოდ არის შეფასებული.
- უსდ სიფრთხილით მოეკიდოს იმას, თუ როგორ არის ჩართული კოლეგების შეფასება მოსწავლეთა შეფასებაში.
- პორტფოლიო, რომელიც ასახავს სტუდენტების საერთო აკადემიურ და არააკადემიურ მიღწევებს და გამოდგება ხარვეზების ანალიზისა და გაუმჯობესების წყაროდ, იქცეს სტუდენტების შეფასების მნიშვნელოვან ნაწილად.
- მეტი ყურადღება დაეთმოს კვლევას და აკადემიურ ეთიკას ბიოსამედიცინო კვლევის სწავლებისა და შეფასებისას.
- უსდ-მ უზრუნველყოს, რომ პედაგოგიურ პერსონალს ჰქონდეს საკმარისი გამოცდილება და ტრენინგი პროგრამაში აღწერილი სწავლებისა და შეფასების მეთოდების გამოსაყენებლად.
- უსდ-მ უზრუნველყოს თითოეულ კურსში/საგანში საკმარისი პერსონალის არსებობა დარგის სპეციფიკური ცოდნით.

- უსდ-მ შეიტანოს პროგრამის შესაძლებლობებთან დაკავშირებული მეტი მონაცემი პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიაში.
- რეკომენდებულია, რომ პროგრამის ხელმძღვანელი სრულად იყოს ჩართული პროგრამის დიზაინის, განხორციელებისა და ხარისხის კონტროლის ყველა ასპექტში.
- უსდ-მ უზრუნველყოს პერსონალის დატვირთვის რეგულარულად განახლება ხარისხის მართვის სისტემის (QMS) პლატფორმაზე.
- უნდა განხორციელდეს სქემები, რათა ხელი შეეწყოს კონკურენტუნარიან სამეცნიერო საქმიანობას და კვლევითი სრულყოფილების აღიარებას რაოდენობრივი პარამეტრების და თვისებრივი აღმწერების (მეცნიერომეტრია, ინდიკატორები) გამოყენებით. განსაზღვრული სტრატეგიები უნდა განხორციელდეს საქმიანობაში.
- საჭიროა მეტი ინტერნაციონალიზაცია პერსონალის/სტუდენტების მობილობის აქტიური მხარდაჭერით.
- უნივერსიტეტში სტუდენტების კომფორტის დონის ამაღლების მიზნით გაუმჯობესდეს სასწავლო სივრცეების ინფრასტრუქტურა.
- განხორციელდეს სასწავლო ლაბორატორიების არსებული ტერიტორიის მოდერნიზება. განახლდეს არსებული ობიექტები სპეციფიური აღჭურვილობით, საჩვენებელი ხელსაწყოებითა და მასალებით, რომლებიც შეესაბამება სწავლების საგნებს.
- უნარ-ჩვევების ცენტრის არსებული ტექნიკური ფონი უნდა გაუმჯობესდეს და შემდგომ განვითარდეს დიაგნოსტიკური და ტექნიკური/ინტერვენციული შესაძლებლობებით.
- გამოიყოს სახსრები სპეციალურად უნარ-ჩვევების ცენტრის ინტერნაციონალიზაციისა და საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
- საკმარისი დეტალებითა და სიღრმისეულად ეცნობოს პროგრამის ყველა მონაწილეს პერსონალის შეფასების მექანიზმის დეტალები და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები.
- მოხდეს კმაყოფილების გამოკითხვების ინიცირება, პროგრამის შედეგების შემდგომი მონიტორინგი და, საჭიროების შემთხვევაში, სტრატეგიების მონიტორინგი ცვლილებების მხარდასაჭერად.
- გარე შეფასება უნდა დაიგეგმოს საქართველოში აკრედიტებულ უნივერსიტეტებთან ან სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობით.
- განხორციელდეს შეფასების არაპირდაპირი მეთოდები, მათ შორის დაინტერესებული მხარეების - კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვა.

▪ **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

- ძირითადი დოკუმენტები უნდა ითარგმნოს ინგლისურად და ხელმისაწვდომი იყოს ვებგვერდზე.
- პროგრამის სტრუქტურა უფრო გასაგები და ადვილად ხელმისაწვდომი იქნებოდა, თუ შეიქმნებოდა დიაგრამა (ორგანოგრამა), რომელიც ასახავდა სასწავლო პროგრამის ადმინისტრაციულ და აკადემიურ განყოფილებებს, ერთეულებს, აფილირებული სწავლების კლინიკურ წევრებს (სავადმყოფოებს).
- სასურველია უფრო მჭიდრო კომუნიკაცია აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის, განსაკუთრებით მკაფიოდ ინტეგრირებულ საგნებთან მიმართებაში.
- სასურველია უზრუნველყოფილი იყოს სტუდენტების კმაყოფილების ინდექსის გაზრდა.
- უსდ-მ უზრუნველყოს აუცილებელი ინფორმაციით კურსდამთავრებულები სამომავლო კარიერასთან დაკავშირებით, როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო მასშტაბით.
- ელექტრონული სწავლება შეიძლება ჩაერთოს დიდაქტიკური კონცეფციის

გაუმჯობესების სამომავლო გეგმებში.

- სასურველია ანესთეზიოლოგიის სწავლება ცალკე კურსად/საგნად.
- მიზანშეწონილია კლინიკური რადიოლოგიის და სამედიცინო რადიოლოგიის ფიზიკური საფუძვლების სწავლება თანმიმდევრულად და არა ერთდროულად.
- უსდ მოელაპარაკოს საავადმყოფოებს, რათა მომზადდეს საფუძველი სტუდენტებისთვის კლინიკური სუბორდინატურის შესამუშავებლად.
- სიფრთხილით განხორციელდეს პროფესიონალიზმის შეფასება შემოთავაზებული ფორმატით, გაანალიზდეს შედეგები და საჭიროების შემთხვევაში შეიცვალოს მეთოდოლოგია.
- სტუდენტების საერთაშორისო ღონისძიებებში ჩასართავად სასურველია გაუმჯობესდეს უნივერსიტეტის ხელშემწყობი მექანიზმები.
- პროგრამა მიიღებს სარგებელს სტუდენტების საკონსულტაციის საათების, როგორც პერსონალის დატვირთვის ნაწილის დათვლით.
- უსდ-მ უზრუნველყოს, რომ ყველა დაინტერესებული მხარე ჩართული იყოს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში, რათა ხარისხის გაუმჯობესება ყველას საქმედ იქცეს და უსდ-ში სათანადო ხარისხის კულტურა განავითარდეს.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)⁵

-

- ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე

უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიცია 2023 წლის 13 ივნისს იქნა მიღებული ხარისხის ეროვნული ცენტრიდან და SDASU-ს მიერ წარმოდგენილი კომენტარები განიხილა ექსპერტთა ჯგუფმა. ერთსულოვანი იყო მოსაზრება, რომ სდასუ-ს მიერ წამოყენებული არგუმენტები არ შეიცავდა ახალ ფაქტობრივ ელემენტებს ან მხოლოდ დაგეგმილ/მომავალ ცვლილებებს ეხებოდა. შესაბამისად, ანგარიშის პროექტში დამატებითი ცვლილებები არ იქნა შეტანილი.

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

⁵ პრაქტიკა, რომელიც გამორჩეულად ეფექტურია და რომელიც შეიძლება გახდეს საორიენტაციო ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამებისთვის.

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის (სდასუ) ქართულიენოვანი მედიცინის პროგრამა აკრედიტებულია 2011 წელს. შემდეგ ის ხელახალი აკრედიტაციისთვის წარედგინა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს (NCEQE) და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს ახალი გადაწყვეტილებით პროგრამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია 2 წლის ვადით (N 706151, 13.07.2021წ.).

სდასუ-ს (შემდგომში უნივერსიტეტის) ერთსაფეხურიანი „მედიცინის“ პროგრამა შეესაბამება კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ სისტემას (ECTS) და მოიცავს 360 ECTS კრედიტს. სავალდებულო და არჩევითი კურსების სილაბუსები იძლევა საკმარის ინფორმაციას სტრუქტურულ კომპონენტებზე, თითოეულ კურსზე გამოყოფილი კრედიტ-საათების რაოდენობის ჩათვლით. ერთი ECTS შეადგენს 30 კრედიტ საათს, რომელიც მოიცავს საკონტაქტო საათებს (კლასები, სემინარები, პრაქტიკული და ა.შ.) და დამოუკიდებელ სამუშაო საათებს. პროგრამის ხანგრძლივობაა ექვსი აკადემიური წელი 12 სემესტრით. პროგრამაში შედის ინგლისური ენის B2 დონის სავალდებულო სასწავლო კურსი. უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული აღწერითი სტატისტიკის მიხედვით, აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა ამჟამად არის 88 (56 აკადემიური და 32 მოწვეული პერსონალი, სამეცნიერო პერსონალის გარეშე), ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა არის 14. ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა წელიწადში 130-ია, ჩარიცხვის კვოტები ბოლო ხუთი წლის განმავლობაში არ შეცვლილა. ტუტორებისა და სტუდენტების დღევანდელი თანაფარდობა მისაღებია (სტუდენტების საერთო რაოდენობა სტატისტიკურ ცხრილში 603-ია, ხოლო უსდ-მ მომავალი წლებისათვის მოითხოვა კვოტა სულ 700 სტუდენტზე). თუმცა აღინიშნა, რომ ტუტორთა უმრავლესობა (76%) არის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი და ასაკობრივი პირამიდა ავლენს დაბერების ამკარა ნიშნებს. ეს ყველაფერი გაფრთხილებს, რომ პერსონალის გაახალგაზრდავებაზე ვიქრის დროა.

საერთო ჯამში, როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაზე წარმოდგენილი დოკუმენტაცია იყო კარგად ორგანიზებული და ადვილად გასაგები. დოკუმენტები ასევე მოიცავდა სასწავლო საგნების პრეზენტაციას ქრონოლოგიური თანმიმდევრობით (სილაბუსებით). ასევე წარმოდგენილი იყო ინფორმაცია სემესტრში თითოეული საგნის ECT კრედიტების ოდენობის, ტუტორების, მასწავლებლების და მათი კვალიფიკაციის/გამოცდილების (CV) შესახებ. თვითშეფასების ანგარიში შემუშავებული იყო განათლების ხარისხის განვითარების

ეროვნული ცენტრის (NCEQE) სტანდარტების მიხედვით. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ მომენტში აღწერილობები იყო ძალიან ზოგადი და ზოგჯერ იმეორებდა ოფიციალური შაბლონის ტექსტს, ექსპერტებმა დაადგინეს, რომ მონაცემთა კრებული შეიცავდა საკმარის ინფორმაციას პროგრამის ხარისხის შესაფასებლად.

ექსპერტთა ჯგუფმა ბაკალავრიატის ქართულენოვანი სასწავლო გეგმა, დაგეგმილი სასწავლო პროცესები (მეთოდები, საშუალებები, ადამიანური და ტექნიკური რესურსები, განათლებისა და სწავლების საბოლოო პროდუქტის კრიტერიუმები და ა.შ.) შეაფასა რამდენიმე პერსპექტივიდან და განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო წინა გარე შეფასების უახლეს შედეგებთან დასკვნების შედარებას. ამ კუთხით ყველაზე მნიშვნელოვანად იქნა მიჩნეული უსდ-ს მიერ გატარებული შემდეგი ცვლილებები:

- გადაიხედა ვერტიკალური და ჰორიზონტალური ინტეგრაციის პრინციპები, სასწავლო გეგმის საბაზისო საფეხურზე განცალკევდა ერთმანეთისაგან ნორმალური პირობები და პათოლოგიები. აკადემიური კურსები გაერთიანდა "მოდულებად" ორგანოთა სისტემების მიხედვით.
- სწავლის შედეგები იქნა მოყვანილი პროგრამის მიზნებთან შესაბამისობაში, გადაიხედა და ჩასწორდა სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, გადაიხედა და დაზუსტდა განსაზღვრული დონეების მიღწევის მეთოდები.
- გადაიხედა პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი მიმართულება იმ მიზნით, რომ სტუდენტებს მისცემოდათ შესაძლებლო დაეგეგმათ, განეხორციელებინათ და ინტერპრეტაცია გაეწიათ სამეცნიერო კვლევისათვის და წარედგინათ მისი შედეგები პროფესიული საზოგადოებისათვის.
- განისაზღვრა პროფესიონალიზმის კრიტერიუმები და დონეები სწავლების სხვადასხვა საფეხურზე, პროფესიონალიზმის შეფასებები, ასევე პრეზენტაციები, მოხსენებები, სტატიები, სოციალური აქტივობები და ა.შ. შედის სტუდენტის პორტფოლიოში, რომელიც გამოიყენება სტუდენტების მიღწევების დასახასიათებლად კურსების მსვლელობისას ან მათ შემდეგ.
- ტრანსფერული უნარების განვითარების მიზნით, სწავლების სხვადასხვა საფეხურზე გაიზარდა გუნდური დავალებების რაოდენობა, დადგინდა შეფასების კრიტერიუმები; ლექტორის გარდა, სტუდენტებიც აფასებენ ერთმანეთს.

ამ გაუმჯობესებული ჩარჩოს ფარგლებში უსდ-მ ჩამოთვალა 5 ძირითადი მიზანი, რომელიც უნდა განხორციელდეს. ესენია:

1. თანამედროვე ცოდნით აღჭურვილი კურსდამთავრებულების მომზადება ბიოსამედიცინო, კლინიკურ და სოციალურ მეცნიერებებში;
2. კურსდამთავრებულებში შესაბამისი კვლევისა და კლინიკური უნარების განვითარების უზრუნველყოფა;
3. მაღალი ეთიკური ღირებულებების და პროფესიონალური იერის ჩამოყალიბება, კოლეგებთან და პაციენტებთან ეფექტური კომუნიკაციის უნარის გამომუშავება;
4. კურსდამთავრებულებში ცოდნის უწყვეტი გაღრმავების შესახებ ცნობიერების ამაღლება და შესაბამისი უნარების განვითარება;
5. საზოგადოების კეთილდღეობის გაუმჯობესება ჯანმრთელობის ხელშეწყობისა და დაავადების პრევენციის გზით.

აღმოჩნდა, რომ ზემოაღნიშნული მიზნები ასახავს დარგობრივ სპეციფიკას და შრომის ბაზრის მოთხოვნებსაც. არსებობს ფორმალური პოლიტიკა, სახელმძღვანელო პრინციპები და რეგულაციები, რომლებიც ეხება პერიოდულ პროცედურულ ან აკადემიურ საკითხებს და ისინი საჯაროდ ხელმისაწვდომია ყველა პერსონალისა და სტუდენტისათვის. პროგრამის მიზნების შესახებ ინფორმაცია ასევე ხელმისაწვდომი იყო პროგრამის შემუშავებაში ჩართული დაინტერესებული მხარეებისთვის, ხოლო პროგრამის აღწერა განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. ზოგადად, მიზნები, ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების ნაკრები, როგორც ეს აღწერილია სდასუ-ს მედიცინის სკოლის მიერ შეიძლება შეფასდეს,

როგორც შესაბამისი და მოთხოვნებთან თავსებადი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- დანართები (თანდართული დოკუმენტები)
- საგანმანათლებლო პროგრამა
- ინტერვიუები

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ძირითადი დოკუმენტები (მათ შორის მისია) უნდა ითარგმნოს ინგლისურად და ხელმისაწვდომი იყოს ვებგვერდზე.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.1 პროგრამის მიზნები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სწავლის შედეგები ეყრდნობა საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის საბაზისო სამედიცინო განათლების სტანდარტებს. შედეგებს აქვს უფრო ფართო აქცენტი, რომელიც მოიცავს ეთიკას და პროფესიონალიზმს, ასევე კლინიკურ ცოდნას, უნარებსა და დასკვნის გამოტანას. ეს მიდგომა წინ უძღვება სტუდენტებს მათ საერთო პროფესიულ ქცევასა და განვითარებაში და შესაბამისობაშია თანამედროვე ადგილობრივ და საერთაშორისო პერსპექტივებთან. აკადემიურმა და კლინიკურმა პერსონალმა გაიარა გარკვეული ტრენინგი, როგორცაა დისტანციური ტრენინგი, განსაკუთრებით პანდემიის პერიოდში, რომელიც ეხებოდა როგორც სწავლის, ისე შეფასების მეთოდებს. მიუხედავად იმისა, რომ აკადემიურმა და

მოწვეულმა პერსონალმა განაცხადა, რომ მეთოდოლოგიაში ტრენინგებს გადიან, მათ არ ახსოვთ რამდენად ხშირად. სწავლის შედეგების შეფასება ტარდება რეგულარულად სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით, თუმცა პერსონალი მოითხოვს შემდგომ პროფესიულ განვითარებას გამოყენებულ შეფასების მეთოდებში (PBL, CBL, Mini-cet, OSPE, Mini-CEX, DOPS). გარდა ამისა, სასურველია უფრო მჭიდრო კომუნიკაცია აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის, განსაკუთრებით მკაფიოდ ინტეგრირებულ საგნებთან დაკავშირებით.

შეფასების შედეგებთან დაკავშირებით სტუდენტები იღებენ უკუკავშირს. სტუდენტების კმაყოფილების კვლევა ეფუძნება სტუდენტების გამოკითხვის შედეგებს, სტუდენტების 92% ეთანხმება, რომ პროგრამის სწავლის შედეგები მკაფიოდ არის განსაზღვრული. კურსდამთავრებულებმა საქართველოში შეიძლება თავდაპირველად ვერ იმუშაონ ექიმებად, მაგრამ ზოგიერთი მუშაობს ზედამხედველობის ქვეშ - ექიმის ასისტენტის პოზიციებზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შეიძლება გაუმჯობესდეს სტუდენტების რეალური კლინიკური სწავლების რაოდენობა და თანმიმდევრულობა რეალურ პაციენტებთან.

ცოტა რამ არის ცნობილი კურსდამთავრებულთა კარიერული შედეგების შესახებ, სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ. კურსდამთავრებულებმა მოგვაწოდეს ინფორმაცია სალიცენზიო გამოცდებისთვის მომზადებისას სხვადასხვა სახის სამედიცინო დასაქმების მოპოვებაში წარმატების შესახებ. მაგალითად, ერთ-ერთმა კურსდამთავრებულმა აღნიშნა, რომ მიღებული ცოდნა წარმატებით გამოიყენა სარეაბილიტაციო ცენტრის დაარსების პროცესში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსი უნდა იქნას ადაპტირებული სასამედიცინო სფეროსთან და ეს უნდა გახდეს კლინიკური და სამედიცინო კომუნიკაციის კურსების მნიშვნელოვანი ნაწილი. იგი უნდა იყოს საჯარო და ხელმისაწვდომი საუნივერსიტეტო საზოგადოების ყველა წევრისთვის ვებგვერდის საშუალებით.

კარიერული წინსვლისა და სამუშაო ადგილზე საქმიანობის წარმართვის მონიტორინგი მნიშვნელოვანია პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფისა და საერთაშორისო მარკეტინგის მხარდასაჭერად მტკიცებულებების მისაწოდებლად. თუმცა ასევე უნდა აღინიშნოს, რომ რეალურ პაციენტებთან სტუდენტების რეალური კლინიკური სწავლების რაოდენობა და თანმიმდევრულობა შეიძლება გაუმჯობესდეს, ხოლო დაწესებულების სასწავლო ლაბორატორიები არ არის სათანადოდ აღჭურვილი იმისათვის, რომ გაითვალისწინოს სწავლის შედეგების სამეცნიერო-კვლევითი ასპექტები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა მედიცინა (კურიკულუმი)
- სასწავლო კურსების/კომპონენტების სილაბუსები
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა
- კურიკულუმის რუკა
- ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის კატალოგი
<https://sdasu.edu.ge/ka/chven-shesakheb/saganmanathleblo-programebis-katalogi>

რეკომენდაციები:

- უნივერსიტეტმა უნდა დაიწყოს კურსდამთავრებულთა შემდგომი გამოკითხვები ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის მეშვეობით, პროგრამის შედეგების (კარიერული სფერო და თანამდებობა) მონიტორინგის მიზნით. ამან შეიძლება გააძლიეროს საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა და უზრუნველყოს ეფექტური მარკეტინგული სტრატეგია.
- უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს პერსონალის სავალდებულო ტრენინგი სილაბუსებში ჩამოთვლილ სწავლების მეთოდოლოგიაზე.
- გაუმჯობესდეს რეალურ პაციენტებთან სტუდენტების რეალური კლინიკური სწავლების რაოდენობა და თანმიმდევრულობა.

- უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს სამედიცინო სფეროსათვის მისაღები ეთიკის კოდექსი. ეს უნდა იყოს კლინიკური და სამედიცინო კომუნიკაციის კურსების მნიშვნელოვანი ნაწილი. იგი უნდა იყოს საჯარო და ხელმისაწვდომი საუნივერსიტეტო საზოგადოების ყველა წევრისთვის ვებგვერდის საშუალებით.
- დაწესებულებას უნდა ჰქონდეს საკუთარი სასწავლო და კვლევითი ლაბორატორია, ადეკვატურად აღჭურვილი, სამეცნიერო კვლევის კომპონენტის გათვალისწინებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასურველია უფრო მჭიდრო კომუნიკაცია აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის, განსაკუთრებით მკაფიოდ ინტეგრირებულ საგნებთან მიმართებაში.
- სასურველია უზრუნველყოფილი იყოს სტუდენტების კმაყოფილების ინდექსის გაზრდა.
- უსდ-მ უზრუნველყოს აუცილებელი ინფორმაციით კურსდამთავრებულები სამომავლო კარიერასთან დაკავშირებით, როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო მასშტაბით.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სილაბუსები საკმარისად დეტალურად აღწერს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს, კომპონენტებს, ქულებს და კრიტერიუმებს. პროგრამას ახლავს სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, სადაც ნაჩვენებია, თუ რომელი კურსი/კომპონენტი, ვის მიერ და რამდენი სტუდენტი შეფასდება სწავლის შედეგების მიღწევის დასადგენად. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად აღწერს დამთავრებისთვის საჭირო მინიმალურ კომპეტენციებს. სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოიყენება შეფასების მრავალმხრივი და სავარაუდოდ ეფექტიანი მეთოდები, მათ შორის ზეპირი გამოცდა, წერილობითი ტესტი/ქვიზი, პრაქტიკული უნარების დემონსტრირება (სიმულატორებზე/მანეკენებზე, პაციენტებზე ან სტანდარტიზებულ პაციენტებზე), ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE) და ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდა (OSPE).

შეფასების ეს სისტემა გამჭვირვალეა და მხედველობაში იღებს დარგის თავისებურებებს. ადგილზე ვიზიტისა და ინტერვიუების დროს ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ მთელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი კარგად იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს.

თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია როგორც პროგრამის, ისე პროგრამის თითოეული კომპონენტის დონეზე, ხოლო სასწავლო გეგმის რუკა აჩვენებს სწავლის შედეგების 3 დონეს: შესაბამისად გაცნობას, გაღრმავებას და განმტკიცებას. ზოგადად, კავშირი სწავლის შედეგებსა და სხვადასხვა კურსს შორის ნათლად არის აღწერილი შესაბამის დოკუმენტებში, ასევე წარმოდგენილია სწავლის შედეგების შესაბამისი დონე (გაცნობა, გაღრმავება და განმტკიცება), მაგრამ ეს სამმაგი კავშირი გარკვეულ კურსებში/სილაბუსებში ნაკლებად ჩანს. რაც შეეხება ტექნიკურ-პროცედურულ და საკომუნიკაციო უნარების შეფასებას, მნიშვნელოვანი იქნება იმ პროცედურების კომპლექტების სწავლება და განმეორებითი შემოწმება თანდათან მზარდი ცოდნის ფონზე და მზარდი უნარ-ჩვევების სიღრმით, რომლებსაც სტუდენტები უნდა დაეუფლონ სასწავლო პროგრამის ბოლომდე. იდეალურ შემთხვევაში, უსდ-მ უნდა შეაფასოს ეს უნარები არა მხოლოდ სიმულაციურ, არამედ ასევე რეალურ კლინიკურ კონტექსტშიც.

რომ შევაჯამოთ, უსდ-ში გათვალისწინებულია მთელი რიგი მოქმედი ინდიკატორების და განახლებული საგანმანათლებლო პროგრამა შეიძლება წარიმართოს ამჟამად მიღებული პრინციპების შესაბამისად. ინტეგრაცია ძირითად სამედიცინო მეცნიერებებსა და კლინიკურ საგნებს შორის, როგორც ჩანს, გარანტირებულია და ამ პროცესს შეუძლია უზრუნველყოს ჩარიცხული სტუდენტები შესაბამისი კლინიკური პასუხისმგებლობით სწავლის დამთავრებისთანავე. სწავლების პროფესიული შინაარსი და სტრუქტურა, სწავლებისა და სწავლის დამხმარე მეთოდები, უმეტეს შემთხვევაში, შესაბამისი და შესაფერისია გამიზნული სწავლის შედეგების მისაღწევად. თუმცა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მჭიდრო მონიტორინგის კავშირი უნდა იქნეს უზრუნველყოფილი საგანმანათლებლო პროგრამის პრეკლინიკურ და კლინიკურ ნაწილებს შორის, რათა შემოწმდეს კლინიკური სწავლების ხარისხი და პრაქტიკა მე-3 წლის შემდეგ - ხელი შეეწყოს უწყვეტი სწავლის პროცესს და უზრუნველყოფილ იქნეს ჰარმონია გეგმებსა და რეალობას შორის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- დანართები (თანდართული დოკუმენტები)
- საგანმანათლებლო პროგრამა
- სილაბუსები
- ინტერვიუები

რეკომენდაციები:

- პრეკლინიკურ კურსებში და სიმულაციური ტრენინგის დროს შეძენილი პროცედურული და კომუნიკაციის უნარები უნდა იყოს ინტეგრირებული კლინიკურ სასწავლო გეგმაში სამივე დონეზე (გაცნობა, გაღრმავება და განმტკიცება). ამ შემთხვევაში საჭირო იქნება სასწავლო გეგმის გადახედვა და შეცვლა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	არაა შესაბამისობა შია მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სდასუ-ს მედიცინის ერთსაფეხურიანი პროგრამა შემუშავდა უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლებისა და უნივერსიტეტის „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად. კურსების თანმიმდევრობისა და დაშვების წინაპირობების შესახებ ინფორმაცია მოცემულია სასწავლო გეგმაში და სასწავლო კურსების/მოდულების სილაბუსებში. განხილული იქნა ყველა სილაბუსი დაშვების წინაპირობებზე, სწავლის მიზნებსა და შედეგებზე, კრედიტების რაოდენობაზე საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების მითითებით, შეფასების მეთოდებზე, სწავლებისა და სწავლის მეთოდებზე, სავალდებულო და დამატებით სასწავლო მასალებზე ყურადღების გამახვილებით.

წარმოდგენილი მიზნების მისაღწევად პროგრამა საკმაოდ კარგად არის ინტეგრირებული, სასწავლო გეგმის მოდულები და საგნები ემსახურება ადამიანის სტრუქტურის, ფუნქციის და განვითარების შესწავლას ორგანიზაციის თითოეულ დონეზე (მოლეკულურიდან ორგანოთა სისტემებამდე და მთელ სხეულში). პროგრამა დაყოფილია სამ ძირითად ეტაპად, შესაბამისად I ეტაპი (საბაზო, ქცევითი და სოციალური მეცნიერებები I-III წლებში), II ეტაპი (კლინიკური მეცნიერებები IV - V წლებში) და III ეტაპი (ზოგადი სპეციალიზაცია VI წელს).

უნარების ლაბორატორია განიხილება, როგორც საკომუნიკაციო და ტექნიკურ-პრაქტიკული ტრენინგის ამოსავალი წერტილი და განვითარების მოკლე და გრძელვადიანი სტრატეგიებით რეკომენდებულია მისი წონის გაზრდა პრეკლინიკურ და კლინიკურ სასწავლო გეგმაში. ამ სქემაში სამიზნე სწავლის შედეგები შეიძლება შეფასდეს განმეორებით, რაც საშუალებას იძლევა გადაიხედოს სწავლების/სწავლის/შეფასების მეთოდოლოგიები და საჭიროების შემთხვევაში განხორციელდეს შემდგომი აუცილებელი ცვლილებები. უფრო კონკრეტულად, სიმულატორები შეიძლება ფართოდ იქნას გამოყენებული პროცედურული უნარების სწავლებასა და შეფასებაში; დაბალი და მაღალტექნოლოგიური სიმულაციები, მანეკენები, სიმულაციური პაციენტები შემდეგ ეტაპზე და რეალური ცხოვრების შემთხვევები მოგვიანებით, კლინიკურ გარემოში გუნდური მუშაობით, სიმულირებული

დიღემებით, განმავითარებელ და შემაჯამებელ შეფასებებში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მეტი აქცენტი და დრო უნდა დაეთმოს ბოლო სემესტრებშიც (VI წელი) კლინიკურ როტაციებსა და პრაქტიკულ სამედიცინო სამუშაოებს მეთვალყურეობის ქვეშ. ბოლო კურსის კლინიკური სპეციალობების მიზანი უნდა სტუდენტებისთვის შესაძლებლობის მიცემა, რომ გააერთიანონ და გამოიყენონ საბაზისო და კლინიკურ მეცნიერებებში დაგროვილი ცოდნა, რაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს პაციენტის მოვლის კლინიკურ ასპექტებში მათთვის ბევრად მეტი მონაწილეობის (ზედამხედველობითი) მიცემით. გარდა ამისა, როტაციული განთავსება და პრაქტიკული გამოცდილებისადმი მეტი ხელმისაწვდომობა საჭიროა გარკვეულ სფეროებში (ანესთეზიოლოგია და ინტენსიური თერაპია, პირველადი ჯანდაცვის სერვისები), რომლებიც ნაკლებად მკაფიოდ არის განსაზღვრული სასწავლო გეგმაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არ არის წარმოდგენილი ზედამხედველობის წესები, პასუხისმგებლობის მქონე კლინიკურ საგნებში ჩართული კლინიკური ტუტორების შერჩევის კრიტერიუმები და არასრულად არის განსაზღვრული სწავლების ხარისხის კონტროლის მექანიზმები.

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, მედიცინის პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი მიმართულება გადაიხედა, რათა სტუდენტებს მისცემოდათ შესაძლებლობა დაეგეგმათ, განეხორციელებიათ და განემარტათ სამეცნიერო კვლევა და წარედგინათ შედეგები პროფესიული საზოგადოებისათვის. მართლაც, პროგრამა ითვალისწინებს პირველი სემესტრიდან სამეცნიერო კვლევითი უნარების ხელშეწყობას და განვითარების პროცესი სრულდება კვლევითი პროექტით XI-XII სემესტრებში. ეს შეიძლება ცხადყოფს, რომ ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნება ისწავლება მთელი სასწავლო გეგმის განმავლობაში, რაც ასევე საშუალებას აძლევს სტუდენტებს მონაწილეობა მიიღონ პროფესიის მეცნიერულ განვითარებაში. მიუხედავად ამისა, როგორც ჩანს, მტკიცე, პირდაპირი კავშირები არ იყო შემუშავებული სწავლებისა და სამეცნიერო კვლევების ერთმანეთთან დასაკავშირებლად, რაც ართულებს პროგრამის მთლიანობაში მის, როგორც დამუშავებული, ყოვლისმომცველი კონცეფციის მიჩნევას. მაგალითად, ბიოსამედიცინო კვლევა I-ის (როგორც საწყისი წერტილი) კავშირი VI სემესტრში კრიტიკული აზროვნების კურსთან (28 სთ ჯგუფური მუშაობით ჯამური 90 სთ-დან) გაურკვეველია, კურსის თემების გამოსადეგობის შეფასება ნამდვილად შეუძლებელია და ძნელია ვიმსჯელოთ ამ უკანასკნელი საგნის დამატებულ ღირებულებაზე ბოლო წელს სამეცნიერო კვლევითი კურსების შედეგთან მიმართებაში.

სდასუ-მ ასევე გამოხატა თავისი ვალდებულება სამედიცინო კვლევების განვითარებისადმი, მაგრამ ამ კონტექსტში პოლიტიკას აკლია არსებითი დეტალები. რაც მთავარია, კურიკულუმის შემუშავებას აკლია და აშკარად ესაჭიროება მკაფიო სამეცნიერო სტრატეგია (გამჭვირვალე სქემით დასახული მიღწევადი გეგმები - მაგ. სტუდენტების, ახალგაზრდა კლინიკოსების, მკვლევარების და სხვ. კონკრეტული კვლევის მხარდაჭერის დაგეგმვა, ფინანსების/გრანტების/დაფინანსების გამოყოფა შერჩეული სამედიცინო პროექტის ან კლინიკური კვლევისთვის; ორგანიზაცია/მონაწილეობა/ გრანტები ეროვნული/საერთაშორისო შეხვედრებისათვის, სამეცნიერო/კვლევითი ინფრასტრუქტურის განვითარება, მიზნობრივი თანხების გამოყოფა კლინიციკებისთვის/მკვლევარებისთვის, რომლებიც ეფუძნება მაღალი ხარისხის ციფრულ კრიტერიუმებს, მთარგმნელობითი კვლევის გაძლიერების და გუნდის შექმნის გეგმები და სხვ.). ამ კონტექსტში მნიშვნელოვანი იქნებოდა ინტერდისციპლინური მუშაობის სტიმულირებისთვის კვლევის პრიორიტეტული სფეროების იდენტიფიცირება, რამაც შეიძლება მოიტანოს ახალი დაფინანსების შესაძლებლობები, მაგალითად, კვლევითი გრანტები, სამოგზაურო გრანტები ან სამეცნიერო გაცვლითი პროგრამები.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ელექტრონული სწავლების მდგომარეობისა და გამოყენების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა. იგი აკლია თვითშეფასების ანგარიშს და სილაბუსებსაც, ამიტომ ეს მიდგომა შეიძლება ჩაერთოს დიდაქტიკური კონცეფციის გაუმჯობესების სამომავლო გეგმებში.

პროგრამის პერსონალთან შეხვედრისას ექსპერტებმა დაადგინეს, რომ უნივერსიტეტს აქვს შემუშავებული ეთიკის კოდექსი, მაგრამ იგი უნდა იყოს ადაპტირებული სამედიცინო სფეროს სპეციფიკასთან და შეადგინოს კლინიკური და სამედიცინო კომუნიკაციის კურსების მნიშვნელოვანი ნაწილი. იგი უნდა იყოს საჯარო და ხელმისაწვდომი საუნივერსიტეტო საზოგადოების ყველა წევრისთვის ვებგვერდის საშუალებით. ასევე აღსანიშნავია, რომ პროგრამის სტრუქტურა უფრო გასაგები და ადვილად მისაღებელი იქნებოდა, თუ იარსებებდა დიაგრამა (ორგანოგრამა).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- დანართები (წარდგენილი დოკუმენტები)
- საგანმანათლებლო პროგრამა
- ინტერვიუები

რეკომენდაციები:

- უნდა გაიზარდოს პროგრამის ვერტიკალური ინტეგრაცია.
- უნივერსიტეტს უნდა ჰქონდეს მკაფიო პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს ურთიერთკავშირს სამედიცინო განათლებასა და კვლევებს შორის. გეგმები უნდა დაისახოს სამეცნიერო სტრატეგიაში. სამეცნიერო სტრატეგია ასევე მკაფიოდ უნდა ითვალისწინებდეს პროგრამის ადამიანური რესურსების განვითარების საჭიროებებს.
- შესრულების ძირითადი ინდიკატორები უნდა იყოს ინგლისურ ენაზე და გამოქვეყნებული ვებგვერდზე.
- მეტი აქცენტი და დრო უნდა დაეთმოს ბოლო სემესტრებში (VI წელი) კლინიკურ როტაციებსა და პრაქტიკულ სამედიცინო საქმიანობას ზედამხედველობის ქვეშ.
- უნდა განისაზღვროს ზედამხედველობის წესები, კლინიკურ საგნებში ჩართული კლინიკური ტუტორების შერჩევის კრიტერიუმები პასუხისმგებლობებთან და სწავლების ხარისხის კონტროლის მექანიზმებთან ერთად.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- პროგრამის სტრუქტურა უფრო გასაგები და ადვილად ხელმისაწვდომი იქნებოდა, თუ შეიქმნებოდა დიაგრამა (ორგანოგრამა), რომელიც ასახავდა სასწავლო პროგრამის ადმინისტრაციულ და აკადემიურ განყოფილებებს, ერთეულებს, აფილირებული სწავლების კლინიკურ წევრებს (საავადმყოფოებს).
- ელექტრონული სწავლება შეიძლება ჩაერთოს დიდაქტიკური კონცეფციის გაუმჯობესების სამომავლო გეგმებში.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	არაა შესაბამისობა შია მოთხოვნებთან
------------	-------------------------------	--	--	------------------------------------

1.4



საგანმანათლებლო

ლო

პროგრამების

სტრუქტურა

და შინაარსი

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კურსების სწავლის შედეგები, რომლებიც განსაზღვრულია სილაბუსებში, შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. მიუხედავად ამისა, არ არსებობს მტკიცებულება, რომ თითოეულ შემთხვევაში ყველა სწავლის შედეგი მიღწეულია (ან შეიძლება იყოს მიღწეული). აღნიშნულ სწავლის შედეგებსა და მათ მიზანშეწონილობას შორის შეუსაბამობის რამდენიმე მაგალითი მოიცავს შემდეგს:

კლინიკური უნარები ისწავლება მხოლოდ ერთხელ ექვს წელიწადში, როგორც 3 კრედიტიანი კურსი, ხოლო განახლებული დარგობრივ მახასიათებლის მოთხოვნებში წერია, რომ უნარების ტრენინგი უნარების ცენტრში უნდა იყოს მინიმუმ 10 ECTS კრედიტიანი.

ზოგიერთი კურსი (მათ შორის ჰისტოლოგიის, ბიოქიმიის საბაზისო კურსები და სხვ.) მოიცავს შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლებას (CBL), როგორც მინიმალური საჭირო სასწავლო მეთოდს დარგობრივ მახასიათებლებში. სდასუ-ს სამედიცინო პროგრამაში შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება (CBL) მხოლოდ ზოგიერთ, ძირითადად კლინიკურ საგანშია ნახსენები და არ არის დეტალები იმის შესახებ, თუ როგორ არის დაგეგმილი მისი განხორციელება.

ინტენსიური თერაპიის სილაბუსი შეიცავს სასუნთქი გზების მართვის უნარებს სწავლის შედეგების ჩამონათვალში, კურსის ყოველდღიური მასალები ფარავს ამ თემას. ასევე, რეანიმაცია ჩამოთვლილია იმ თემებში, რომლებიც განიხილება კლინიკური უნარების ტრენინგში, მაგრამ არ ჩანს მანეკენები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას რეანიმაციასთან ან სასუნთქი გზების მართვასთან დაკავშირებული უნარების შესასწავლად. ანესთეზიოლოგია არ არის გამოყოფილი ცალკე საგნად, არამედ ანესთეზიოლოგიის თემები შეტანილია ქირურგიის კურსში.

სილაბუსებში აღწერილი პრაქტიკული კომპონენტის დონე მაღალია. მაგრამ ამის მიღწევა რთული იქნება კლინიკური კურსების სათანადო დაგეგმვის გარეშე (პატარა ჯგუფების წინასწარ განსაზღვრა პალატაში საქმიანობისთვის და სტუდენტების განაწილება საავადმყოფოებში).

პროგრამის აღწერაში „ადრეული კლინიკური ექსპოზიცია“ ნაგულისხმებია რომ დაიწყება პირველი წლიდან. აღწერილობის მიხედვით, ბიოეთიკისა და კომუნიკაციის უნარების კურსებზე სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ წვდომა პაციენტებთან. ერთის მხრივ, ამ კურსების სილაბუსები არ აღწერს კლინიკური პრაქტიკის კომპონენტს, მეორეს მხრივ, არა მხოლოდ კომუნიკაციის უნარები, არამედ პრაქტიკული უნარები უნდა იქნეს დანერგილი რაც

შეიძლება ადრე. ძირითადად, შემოთავაზებულ პროგრამაში კლინიკური ექსპოზიცია პირველად ხდება V სემესტრში.

რაც შეეხება სილაბუსებში მოცემულ ლიტერატურას, ზოგიერთი წიგნი მოძველებულია და ვერ უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას (მაგალითად, ოფთალმოლოგიის სახელმძღვანელოები დათარიღებულია 1989 და 1997 წლებით). სხვა წიგნები არ არის ხელმისაწვდომი არც ადგილობრივად, ბიბლიოთეკაში და არც შემოწმებისას სტუდენტურ პორტალზე ელექტრონული ვერსიის სახით (მაგალითად, სანიკიძის წიგნი ბიოფიზიკაში). სილაბუსის მიხედვით ეს წიგნი შეიძლება მოძიებულ იქნეს თსსუ-ს ბიბლიოთეკაში. სტუდენტები აცხადებენ, რომ მათ გადაეცათ ჰენდაუთები ბიოფიზიკის კურსისთვის. ზოგიერთ კურსზე ყველა შემოთავაზებული ლიტერატურა (მაგალითად, პროფესიული განვითარება II (კომუნიკაციის უნარები) და კლინიკური რადიოლოგია) არის ინგლისურ ენაზე. თუ ასეთია მიდგომა, მაშინ უფრო ახლი წიგნები შეიძლება იქნას გამოყენებულ სხვა კურსებისთვისაც.

მედიცინაში განახლებული დარგობრივი მახასიათებლების მიხედვით, არჩევითი საგნები უნდა გაიზარდოს თანდათანობით სასწავლო პერიოდის განმავლობაში და მიაღწიოს მაქსიმუმს სწავლის ბოლო წელს. სდასუ-ს სამედიცინო პროგრამაში V სემესტრიდან დაწყებული ყოველ სემესტრში 2 კრედიტი ეთმობა არჩევით საგნებს. VI სემესტრში. კლინიკური რადიოლოგია ისწავლება როგორც სავალდებულო საგანი, ხოლო სამედიცინო რადიოლოგიის ფიზიკური საფუძვლები შეთავაზებულია არჩევით საგნად. მიუხედავად იმისა, რომ კურსების შინაარსი განსხვავებულია, მიზანშეწონილია სტუდენტებს გაეცნოთ ძირითადი რადიოლოგია, სანამ მათთვის შეთავაზებული იქნება კონკრეტული და დეტალური კურსი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამის აღწერილობა
- კურიკულუმის რუკა
- სასწავლო გეგმა
- სწავლის შედეგების შეფასების გეგმა
- სილაბუსები
- კონტრაქტები საავადმყოფოებთან
- სწავლის შედეგების შეფასების მეთოდი
- გასაუბრებების შედეგები

რეკომენდაციები:

- უსდ-მ უზრუნველყოს კლინიკური უნარების სწავლება განახლებული დარგობრივი მახასიათებლების შესაბამისად; მიმდინარე საორიენტაციო დოკუმენტით მოთხოვნილი სწავლის მეთოდოლოგიები გათვალისწინებული იყოს პროგრამის აღწერაში, სილაბუსებში და რაც მთავარია რეალურ პრაქტიკაში.
- უსდ-მ უზრუნველყოს, საკმარისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების არსებობა სილაბუსებში და დარგობრივ მახასიათებლებში ჩამოთვლილი უნარების სწავლებისათვის.
- უსდ-მ უზრუნველყოს პროგრამის აღწერილობითი ნაწილის შესაბამისობა სილაბუსების შინაარსთან, და რამდენადაც ადრეული კლინიკური მიდგომაა გათვალისწინებული, უზრუნველყოს ასევე მისი ხაზგასმა სილაბუსებში და განხორციელება პრაქტიკაში.
- განახლდეს ლიტერატურის ჩამონათვალი სილაბუსებში, თუ ჰენდაუთები ფართოდ

- გამოიყენება, უსდ-მ უზრუნველყოს ჰენდაუთების შინაარსის სათანადო ხარისხის კონტროლი, რათა სასწავლო მასალა შეესაბამებოდეს მისაღწევ სწავლის შედეგებს.
- უსდ-მ უზრუნველყოს არჩევითი საგნების მრავალფეროვნება და გაზარდოს მათი თანაფარდობა სემესტრების განმავლობაში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია ანესთეზიოლოგიის სწავლება ცალკე კურსად/საგნად.
- მიზანშეწონილია კლინიკური რადიოლოგიის და სამედიცინო რადიოლოგიის ფიზიკური საფუძვლების სწავლება თანმიმდევრულად და არა ერთდროულად.
- უსდ მოელაპარაკოს საავადმყოფოებს, რათა მომზადდეს საფუძველი სტუდენტებისთვის კლინიკური სუბორდინატურის შესამუშავებლად.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არაა შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
1.5. სასწავლო კურსი/საგანი	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის შესაბამისობა სტანდარტთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ შეესაბამება მოთხოვნებს	<input type="checkbox"/>

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სდასუ-ს დიპლომირებული მედიკოსის პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ნათლადაა ჩამოყალიბებული და დოკუმენტირებული. საგანმანათლებლო პროგრამის მიღების წინაპირობები შესაბამისი და გამჭვირვალეა, თანხვედრაშია საქართველოს კანონმდებლობასთან და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის; საგანმანათლებლო პროგრამის დახასიათება განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე: <https://sdasu.edu.ge/> პროგრამას განსაზღვრული აქვს პროგრამაზე მიღების წინაპირობები და პროცედურები. საქართველოსა და უცხოეთის მოქალაქეების დაშვების წესები განსაზღვრულია საქართველოს კანონით. დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის აბიტურიენტებს მოეთხოვებათ შემდეგი დოკუმენტები:

- ეროვნული სკოლის გამოსაშვები სერთიფიკატი ან მისი ეკვივალენტი.
 - ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დამტკიცებული წესით (საქართველოს კანონი "უმაღლესი განათლების შესახებ", მუხლი 52, §3).
 - უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიღება რეგულირდება განათლების სამინისტროს მიერ დადგენილი კანონმდებლობის შესაბამისად, 52-ე მუხლი, § 3.
- ეს რეგულაცია უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე სტუდენტთა დაშვებას პროგრამაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუების შედეგები
- სდასუ-ს ვებ-საიტი: <https://sdasu.edu.ge/>
- საქართველოს კანონი "უმაღლესი განათლების შესახებ"

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არაა შესაბამისობაში მოთხოვნებთან
------------	-------------------------------	--	---	----------------------------------

2.1 პროგრამაზე
დაშვების
წინაპირობები



2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /სამემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / სამემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის მედიცინის მიზანია უზრუნველყოს სტუდენტებში პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი და ტრანსფერული უნარების გამომუშავება და განვითარება. პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად უნივერსიტეტს გააჩნია აფილირებული კლინიკები („Helsicor“- ისრაელ-საქართველოს მრავალპროფილური კლინიკა), კლინიკური და დიაგნოსტიკური ცენტრები (შპს წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის მრავალპროფილური საავადმყოფო, შპს ო. ლუდუშაურის ეროვნული სამედიცინო ცენტრი, ს. შპს ხეჩინაშვილის საუნივერსიტეტო კლინიკა, ავერსის კლინიკა და სხვ.). მიუხედავად ამისა, საავადმყოფოებთან ხელშეკრულებები არ შეიცავს დეტალებს განსათავსებელი სტუდენტების რაოდენობასთან ან კლინიკურ კურსებზე მათი საქმიანობის სპეციფიკასთან დაკავშირებით (თუმცა ეს მოთხოვნილია დარგობრივი მახასიათებლების დოკუმენტით). ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან საავადმყოფოები იღებენ სტუდენტებს ბევრი უსდ-დან. სტუდენტებისგან მიღებული ინფორმაციით, მათ პაციენტთან ურთიერთობის შესაძლებლობა ეძლეოდათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იპოვნინდნენ კლინიკაში სამუშაოს ექთნად ან ექთნის თანაშემწედ. მომგებიანი იქნება, თუ უსდ შეძლებს მოლაპარაკებას საავადმყოფოებთან, რათა მოხდეს სტუდენტური აქტივობების ფორმალიზება, შეფასება და მათი პროგრამაში ჩართვა - ეს იქნება როგორც კლინიკური როტაცია/სუბორდინატურა.

კლინიკური უნარების განვითარება და გაძლიერება იწყება პროგრამის ადრეული ეტაპებიდან. საბაზისო ეტაპზე სტუდენტები სწავლობენ პაციენტთან ეთიკური და სწორი კომუნიკაციის უნარებს ("პროფესიული განვითარება I - ბიოეთიკა", "პროფესიული განვითარება II - კომუნიკაციის უნარები"), ასევე პაციენტის ფიზიკურ გამოკვლევას და ზოგიერთ ინვაზიურ და არაინვაზიურ მანიპულაციებს. სწავლების საბაზისო ეტაპზე ეს უნარები ძირითადად გამომუშავდება კლინიკური უნარების ცენტრში სხვადასხვა მანეკენების გამოყენებით. უფრო მაღალი ხარისხის მისაღწევად, უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს მეტი აღჭურვილობა. მეოთხე წლიდან ყოველ კლინიკურ კურსში ინტეგრირებულია კლინიკური უნარების შემდგომი განვითარება და გაძლიერება. კლინიკური კურსების ფარგლებში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ გაიძლიერონ არაინვაზიური კლინიკური უნარები კლინიკურ გარემოში პაციენტებთან, ხოლო ინვაზიური მანიპულაციების განვითარება და გაძლიერდება ხდება კლინიკური უნარების ცენტრში. ძირითადი კლინიკური კურსების ბოლოს (მაგ. შინაგანი მედიცინა, ქირურგია, პედიატრია და ა.შ.) სტუდენტს ენიჭება კრედიტი OSCE გამოცდის ჩაბარების შემდეგ, რომელზეც ხდება კლინიკური უნარების შეფასება. გარდა ამისა, პროგრამებში შედის ქვევითი და სოციალური მეცნიერებებისა და ეთიკის ნაწილი, რაც თეორიულად აძლევს ეფექტური კომუნიკაციისა და კლინიკური გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას.

საერთო ჯამში, ამ სქემით სტუდენტებს შეუძლიათ შეიძინონ ძირითადი ტექნიკური/პრაქტიკული უნარები სამედიცინო სკოლის სიმულაციური ცენტრში, რაც აშკარად მნიშვნელოვანი უპირატესობა და ასევე კარგი შესაძლებლობაა პრეკლინიკური და

კლინიკური პედაგოგებისათვისაც. მიუხედავად ამისა, სავარაუდოდ, არსებული გარემო აკმაყოფილებს მხოლოდ ძირითად მოთხოვნას და პრეკლინიკური სიმულაციური უნარების ტრენინგის დროს მიღებული პროცედურული და საკომუნიკაციო ცოდნის სრულად ინტეგრირება წარმოდგენილ კლინიკურ სასწავლო გეგმაში არ არის შესაძლებელი. იმისათვის, რომ შესრულდეს ყველა ის მიზანი, რომელიც მითითებულია დოკუმენტებში ან აღწერილია პერსონალის მიერ, საჭიროა კარგად აღჭურვილი უნარების ცენტრი თავდადებული პერსონალით.

უნივერსიტეტს გააჩნია სტუდენტური კლუბი, რომლის მიზანია გაზარდოს სტუდენტების ჩართულობა სამეცნიერო კვლევის პროცესში, განავითაროს სტუდენტების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა; გაზარდოს სტუდენტების როლი სამეცნიერო-საგანმანათლებლო ღონისძიებების ორგანიზებაში; ჩართოს სტუდენტები მეცნიერულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო საქმიანობაში. ამ მიზნების მისაღწევად კლუბი შეიმუშავებს და ახორციელებს სტუდენტურ სამეცნიერო პროექტებს; თანამშრომლობს ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მათ შორის პროფესიულ ასოციაციებთან; ეწევა სამეცნიერო, საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო და საჯარო საინფორმაციო საქმიანობას და სხვ. სტუდენტური სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტმა გააფორმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები მორფოლოგიის ინსტიტუტთან, "ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტულ ბიომედიცინის ცენტრთან" და სხვა. სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია იმართება უნივერსიტეტში ყოველწლიურად. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ ეს აქტივობები უფრო აქტიური იყო პანდემიამდე.

უნივერსიტეტი მხარს უჭერს სტუდენტების კვლევით ინიციატივებს და მათ მონაწილეობას ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში. მედიცინის სკოლა 2018 წლიდან არის ევროპის მედიკოს სტუდენტთა ასოციაციის (EMSA) წევრი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუების შედეგები
- ადგილზე ვიზიტი

რეკომენდაციები:

- გაუმჯობესდეს კლინიკური უნარების ცენტრის საქმიანობის ეფექტიანობა.
- უნივერსიტეტს უნდა ჰქონდეს ინფორმაცია კლინიკური მოდულების განმახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო ცენტრის/კლინიკის შესახებ, ასევე ცხრილი/გრაფიკი კონკრეტული სასწავლო კურსის განმავლობაში სტუდენტთა რაოდენობის ერთდროულად მიღების შესაძლებლობის შესახებ.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა აშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის დოკუმენტაცია და თვითშეფასების ანგარიში აღწერენ სწავლების სხვადასხვა მეთოდებს, რომლებიც შეესატყვისება კურსის ამოცანებს. სავალდებულო და არჩევითი კურსების სილაბუსები იძლევა მკაფიო ინფორმაციას პროგრამების ამ დეტალებზე და თითოეული კურსისათვის მინიჭებული ECTS კრედიტების რაოდენობის შესახებ. საკონტაქტო საათების რაოდენობა, სწავლისა და სწავლების სხვადასხვა მეთოდის გათვალისწინებით, განსხვავდება და შეესაბამება კურსის/ მოდულის/ როტაციის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. სტუდენტების აკადემიური მოსწრების შესაფასებლად, პროგრამა იყენებს შეფასების ადეკვატურ და შესაბამის ტექნიკას, როგორცაა OSPE, OSCE, გამოცდები იმიტირებულ პაციენტებთან.

მცირე ჯგუფები (10- 12 სტუდენტი პრეკლინიკურ ეტაპზე, 4- 6 კლინიკურ წლებში) გამოიყენება სტუდენტების ჩასართავად სწავლების სხვადასხვა ფორმებში და სხვადასხვა სასწავლო სტრატეგიებში, როგორცაა ლექციები, სემინარები, სწავლება კლინიკურ გარემოში, იმიტირებული სცენარების გამოყენება და სტანდარტიზებული პაციენტები, ლაბორატორიული სწავლება - და მთლიანობაში, სასწავლო გეგმის რუკა შეიცავს უამრავ ინფორმაციას სასწავლო კურსების შედეგებთან კავშირის შესახებ.

არსებობს იმის მტკიცებულება, რომ დაგეგმილია კარგი პრაქტიკის დანერგვა, რადგან კლინიკურ გარემოში უკვე დაგეგმილია პროცედურული უნარების პირდაპირი დაკვირვება და შემთხვევებზე დაფუძნებული დისკუსიები. კლინიკური ტუტორების რაოდენობა და კლინიკური საავადმყოფოების შესაძლებლობები საკმარისად იყო ნაჩვენები. გარდა ამისა, უსდ- მ წარმოადგინა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, სტუდენტის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების შესაბამისად - მაგალითად, სხვადასხვა დონის აკადემიური ტრენინგი სტუდენტებისთვის, რომლებიც ჩართულნი არიან შიდა და გარე მობილობაში.

თუმცა, სწავლების მეთოდები და გარემო ყოველთვის არ შეესაბამება კურსის შინაარსს და მოსალოდნელ სწავლის შედეგებს. მაგალითად, დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტის მიხედვით, უმაღლეს სასწავლებელს უნდა ჰქონდეს კვლევითი ლაბორატორია, რომელიც თავისი აღჭურვილობით ხელს შეუწყობს სტუდენტებს განავითარონ კვლევითი უნარები, მაგრამ ასეთი ლაბორატორია არ არსებობს. სიმულაციური უნარების ტრენინგის შემთხვევაში არსებული გარემო არ აკმაყოფილებს პრეკლინიკური კურსების მოთხოვნას და

გარდა ამისა, სიმულაციური ტრენინგის დროს მიღებული პროცედურული ცოდნის წარმოდგენილ კლინიკურ სასწავლო გეგმაში ინტეგრირების შესაძლებლობები საკმაოდ სუსტია. უნარების განვითარების მიმართულებები ყოველთვის დამოკიდებულია ადგილობრივ ინტერესებსა და ტრადიციებზე, მაგრამ, როგორც წესი, მოიცავს შინაგან მედიცინას ქვე-სპეციალობებით, ქირურგიას ქვე-სპეციალობებით, ანესთეზიოლოგიას და ინტენსიურ თერაპიას, დიაგნოსტიკურ ვიზუალიზაციას, გადაუდებელ მედიცინას, ზოგად პრაქტიკას/ საოჯახო მედიცინას, მეანობასა და გინეკოლოგიას, პედიატრიას და ა.შ.. აქედან გამომდინარე, არსებული ტექნიკური ფონი შეიძლება შემდგომ განვითარდეს დიაგნოსტიკური და ტექნიკური/ ინტერვენციული შესაძლებლობებით და წარმოგიდგინოთ ორ მაგალითს/ წინადადებას განვითარებისთვის: 1. ზოგადი ქირურგიის საფუძვლები, საკერავი ბალიშების შესაბამისი რაოდენობის უზრუნველყოფა, სპეციფიური ქირურგიული ნაკერების მასალები ტრადიციული (ფრანგული თვალით) და ატრავმული ნემსებით და საბაზისო ინსტრუმენტების კომპლექტები. ასევე მინიმალურად ინვაზიური ქირურგიის სამუშაო სადგურები და მარტივი სიმულაციური ბოქსების გამოყენება სტუდენტთა ხელის მოხერხებულობისა და შემეცნებითი და ტექნიკური უნარების გასაუმჯობესებლად. 2. სამედიცინო ვიზუალიზაციის სიმულაცია დიაგნოსტიკური ულტრაბგერითი (სპეციალური ანატომიური ფანტომებითა და პროტოკოლებით) გამოყენებით ასევე შეიძლება ძალიან სასარგებლო იყოს. აღსანიშნავია, რომ ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა ლაბორატორიისა და კლინიკური უნარების ცენტრისთვის ახალი აღჭურვილობის შეძენის დოკუმენტები - მაგრამ, როგორც ჩანს, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ამ სფეროებში ღირებული შენაძენი თუ შესყიდვები არ ყოფილა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკული ტექნიკა და პროცედურული უნარები, რომლებიც უკავშირდება სიცოცხლის ძირითად მხარდაჭერას (BLS - რენიმაცია) არ შედის იმ საგნებს შორის, რომლებიც ამჟამად განიხილება პროგრამის პირველ ორ წელიწადში და ეს არ აკმაყოფილებს მოლოდინს. BLS შედის კლინიკური უნარების კურსში (მხოლოდ V სემესტრში) ორსათიანი პრაქტიკის სახით, და შემდეგ VI სემესტრში ზოგად ქირურგიაში (პირველადი დახმარება და რენიმაცია). აქ BLS - ALS - Critical Care კურსი (ან მსგავსი სასწავლო კურსი მაღალ დონეზე) მარტივად შეიძლება შევიდეს სასწავლო გეგმაში. მსგავსი ვითარებაა კომუნიკაციაში ჩართული პრეკლინიკური და კლინიკური კურსების თანმიმდევრობაში, საჭიროა პრაქტიკული სწავლების შესაძლებლობების გაცილებით მეტი გამოყენება (მაგ. კარგად გაწვრთნილ იმიტირებულ პაციენტებთან), მითითებული თემების დანერგვის და გაძლიერების თვალსაზრისით. ექსპერტთა ჯგუფმა ასევე აღნიშნა, რომ კამპუსის მთავარი ლაბორატორიები ცუდად არის აღჭურვილი მხოლოდ ძალიან საბაზისო ინსტრუმენტებით (საკმაოდ ძველი სინათლის მიკროსკოპები და საჩვენებელი ხელსაწყოები ანატომიის სალექციო დარბაზში და ბიოქიმიის ლაბორატორიაში), სტუდენტების მიერ გამოყენებული სასწავლო სივრცეები გარკვეულწილად ავარიულ მდგომარეობაშია და საჭიროებს განახლებას, მოკლედ, კომფორტის დონე შეიძლება გაუმჯობესდეს და სასწავლო გარემოს გაუმჯობესებამ შეიძლება განაპირობოს საზოგადოების შეკრულობის უფრო დიდი განცდა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუების შედეგები
- ადგილზე ვიზიტი

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია უნარების ცენტრში დასაქმდეს სპეციალისტი საგანმანათლებლო მენეჯერი/ ასისტენტი, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მუდმივ

მხარდაჭერას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არაა შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3. სწავლება - სწავლის მეთოდები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სილაბუსებში აღწერილი შეფასების მეთოდოლოგია ძირითადად შეესაბამება სტანდარტულ მოთხოვნებს. თუმცა, არ დასტურდება, რომ ამჟამად პროგრამაში ეფექტურად არის დანერგილი სამედიცინო სფეროსთვის სპეციფიკური შეფასების მეთოდები. ბევრ კლინიკურ დისციპლინას აქვს OSCE სტანდარტიზებული პაციენტების მონაწილეობით, რომლებიც შედის დასკვნითი გამოცდის სახით, მაგრამ უნარების ცენტრის არსებული მდგომარეობა არ არის საკმარისი OSCE -ს ამ ტიპის გამოცდებისთვის, ასევე არ არსებობს რაიმე ფორმალური სტანდარტიზებული პაციენტის ტრენინგი, რომელიც უზრუნველყოფს ამ გამოცდების ეფექტურად ჩატარებას. ამჟამად სტანდარტიზებული პაციენტების როლს ასრულებენ პერსონალის წევრები, რომლებსაც ეძლევათ არაფორმალური ინსტრუქციები და უკვე ძალიან გამოცდილად ითვლებიან.

როცა ჯგუფმა მოითხოვა OSCE- ს სიების მაგალითები, მათი მოწოდება ვერ მოხერხდა. ექსპერტებს ჰქონდათ წვდომა მხოლოდ შეფასების ფურცლებზე, მაგრამ არა იმ უნარების აღწერით, რომლების შეფასებაც ხდება. OSCE-ს ზოგიერთი სადგურისთვის შეფასების კრიტერიუმები ნათელია სილაბუსებიდან.

მეანობის (სემესტრი IX), გინეკოლოგიის (სემესტრი X) და დიფერენციალური დიაგნოსტიკა მეანობა- გინეკოლოგიაში (სემესტრი XII) სილაბუსებში ერთი და იგივე პიროვნებაა მითითებული პედაგოგად, ხოლო სამივე საგანი ფასდება OSCE- ის გამოყენებით, რაც არარეალურია დამატებითი პერსონალის ჩართვის გარეშე. უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ასეთ შემთხვევაში გამოცდებზე იწვევენ (და უნაზღაურებენ) დამატებით პროფესიონალებს (გინეკოლოგებს). OSCE-ს სტრუქტურა თითქმის ერთნაირია ამ სამ საგანში და ასევე სხვა კურსებში, რომლებიც OSCE- ით ფასდება (დიფერენციალური დიაგნოზი ქირურგიაში და ა.შ.). ამ გამოცდებს აქვთ სადგურები, სადაც ხდება პაციენტის ისტორიის აღება, კონსულტაცია და პაციენტის ისტორიის ჩაწერა.

საბოლოო ჯამში, OSCE სადგურების რაოდენობა, სადაც სინამდვილეში ხდება პრაქტიკული უნარების შემოწმება, საკმაოდ დაბალია, მიუხედავად იმისა, რომ როგორც სტუდენტებმა, ისე დამსაქმებლებმა ძირითად პრობლემად კვალიფიკაციის დეფიციტი აღიარეს. OSCE გამოცდებში მენობაში (IX სემესტრი) და გინეკოლოგიაში (X სემესტრი) არის სადგური, სადაც სტუდენტებს მოეთხოვებათ პაციენტის ფიზიკური გამოკვლევის ჩატარება, და ამავდროულად არ არის დეტალურად მითითებული რა სახის შეფასება უნდა განხორცილდეს. OSCE- ში იგივე სადგური დიფერენციალური დიაგნოსტიკისთვის მენობა-გინეკოლოგიაში (სემესტრი) გვამლევს კიდევ რამდენიმე დეტალს (გინეკოლოგიური სპეკულუმის მოთავსება და ნაცხის აღება).

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეულ კურსებზე 50%-იანი ბარიერია დადგენილი, რადგან კომპეტენციის მინიმალური ზღვარი საკმაოდ დაბალია და ეს შესაძლოა გაიზარდოს პრაქტიკულ საგნებში. სხვა საგნებში, როგორცაა ბიოსამედიცინო კვლევა I, შეფასების სისტემის ელემენტები (როგორც სილაბუსებშია ნაჩვენები) ზედმეტად გართულებულია.

OSCE- ს არცერთ გამოცდას არ აქვს სტრუქტურა 10 ან მეტი სადგურით (როგორც ეს განსაზღვრულია განახლებული დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტით) და მოთხოვნა, რომ ზოგიერთი დავალება (როგორცაა არტერიული წნევის გაზომვა ან BLS) სრულად უნდა შესრულდეს იმისათვის, რომ სტუდენტმა მიიღოს დადებითი შეფასება, არ არის გათვალისწინებული.

რიგ კურსს აქვს ურთიერთშეფასების კომპონენტი. მიუხედავად იმისა, რომ ურთიერთშეფასების წილი მინიმალურია, ეს მიდგომა და მისი ეფექტურობა საკმაოდ ბუნდოვანია, რადგან საბოლოო შეფასება მხოლოდ პედაგოგის მიერ უნდა განხორციელდეს, ურთიერთშეფასებები შეიძლება შევიდეს ჯგუფურ მუშაობაში და ა.შ., მაგრამ არ უნდა განსაზღვროს რეალური ქულები.

კიდევ ერთი დაპირისპირება შეიძლება წარმოიშვას პროფესიონალიზმის შეფასებაში. მიუხედავად იმისა, რომ კრიტერიუმები ძალიან ზუსტად არის აღწერილი სილაბუსებში, მაინც არის შანსი, რომ ზოგიერთი შეფასება სუბიექტური იყოს (მაგალითად, ავლენს თუ არა სტუდენტი თანაგრძნობას პაციენტების მიმართ). მაგრამ რადგან პროფესიონალიზმის შეფასება არის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნა, ის სულ უფრო და უფრო ინტენსიურად ინერგება სამედიცინო პროგრამებში და ამ სფეროში ჯერ კიდევ ბევრი რამაა სასწავლი, ექსპერტთა ჯგუფი უბრალოდ გათვალისწინებულ არსებული სქემის ტესტირებას და მიღებული გამოცდილების საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში მის შეცვლას.

სტუდენტთა შეფასების კიდევ ერთი საკითხია პორტფოლიო - პროგრამაში იგი აღწერილია როგორც სტუდენტების მიერ შექმნილი ჟურნალი, რომელიც შეიცავს პროფესიონალიზმისა და კლასგარეშე მიღწევების შეფასებას. ამგვარად ნაკლებად სავარაუდოა, რომ პორტფოლიო ასახავს „აკადემიურ მიღწევებს, რადგან ის ობიექტურად და არსებითად ასახავს სტუდენტის კლინიკურ აზროვნებას, უნარებს, ძლიერ და სუსტ მხარეებს ზოგად პროფესიონალურ განვითარებაში, ავლენს მის ნაკლოვანებებსა და მათი გამოსწორების გზებს“, როგორც ეს აღნიშნულია დარგობრივ მახასიათებელში. გარდა ამისა, არც სტუდენტებმა და არც თანამშრომლებმა არ იციან ზოგადად პორტფოლიოს შესახებ.

სტუდენტები თანხმდებიან, რომ შეფასება არის სამართლიანი, გამჭვირვალე და მათ წინასწარ იციან კრიტერიუმები. ინტერვიუებიდან ჩანს, რომ სტუდენტები ქულებს დროულად იღებენ. გასაჩივრების პროცედურა აღწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში. აღწერილობიდან გამომდინარე, ის სამართლიანი და გამჭვირვალე ჩანს და გამოკითხულ სტუდენტებს მის მიმართ არანაირი წინააღმდეგობა არ აქვთ.

სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში აღწერილი სწავლის შედეგების შეფასება არ შეიცავს პორტფოლიოს რომელიმე სწავლის შედეგისთვის (არც პროფესიონალიზმს), რაც შესაძლოა ტექნიკური შეცდომის გამო იყოს. კვლევითი პროექტების შეფასება არ შეიცავს რაიმე სახის პლაგიატის შემოწმებას, თუმცა აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვა ერთ- ერთი კრიტერიუმია, მაგრამ მთლიანი კურსის შინაარსში და დისერტაციის მოთხოვნებში უფრო მეტად უნდა გამოკვეთოს აკადემიური და კვლევის ეთიკა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამის აღწერილობა
- კურიკულუმის რუკა
- სასწავლო გეგმა
- სწავლის შედეგების შეფასების გეგმა;
- სილაბუსები
- ხელშეკრულებები საავადმყოფოებთან
- სასწავლო პროცესის რეგულირების წესი
- სწავლის შედეგების შეფასების მეტოდები
- OSCE შეფასების ფურცლები
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- უსდ-მ დაისახოს ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის (OSCE) განხორციელების რეალისტური გეგმა ოთახების, აღჭურვილობისა და პერსონალის ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით.
- გაიზარდოს აღჭურვილობის მრავალფეროვნება და ხარისხი კლინიკური უნარების ლაბორატორიაში, რომ OSCE ჩატარდეს დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად.
- დაიგეგმოს OSCE ისე, რომ შეიცავდეს მინიმუმ 10 სადგურს.
- უსდ-მ უზრუნველყოს, რომ დარგობრივი მახასიათებლებით განსაზღვრული კრიტიკული უნარები სათანადოდ არის შეფასებული.
- უსდ სიფრთხილით მოეკიდოს იმას, თუ როგორ არის ჩართული კოლეგების შეფასება მოსწავლეთა შეფასებაში.
- პორტფოლიო, რომელიც ასახავს სტუდენტების საერთო აკადემიურ და არაკადემიურ მიღწევებს და გამოდგება ხარვეზების ანალიზისა და გაუმჯობესების წყაროდ, იქცეს სტუდენტების შეფასების მნიშვნელოვან ნაწილად.
- მეტი ყურადღება დაეთმოს კვლევას და აკადემიურ ეთიკას ბიოსამედიცინო კვლევის სწავლებისა და შეფასებისას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სიფრთხილით განხორციელდეს პროფესიონალიზმის შეფასება შემოთავაზებული ფორმატით, გაანალიზდეს შედეგები და საჭიროების შემთხვევაში შეიცვალოს მეთოდოლოგია.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	არაა შესაბამისობა შია მოთხოვნებთან
2.4. სტუდენტის შეფასება:	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	არ შეესაბამება მოთხოვნებს	<input type="checkbox"/>

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების მეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

SDASU- ს სტუდენტები იღებენ შესაბამის ინფორმაციას სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების შესახებ, რაც მიიღწევა ვებგვერდისა და ელექტრონული ფოსტის გამოყენებით. იგი ყველა სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას თვალი ადევნოს საკუთარ მიღწევებს სწავლაში და ასევე დაუკავშირდეს ადმინისტრაციის წარმომადგენლებს და ლექტორებს. სტუდენტებთან ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ სტუდენტები იღებენ შესაბამის კომუნიკაციას უმაღლესი სასწავლებლის თანამშრომლებისგან, მაგ., დეკანისგან, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელისგან, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტისგან.

სტუდენტებს ასევე აქვთ შესაძლებლობა მიიღონ მონაწილეობა სხვა სახის კლასგარეშე აქტივობებში, როგორცაა სოციალური და სპორტული ღონისძიებები. მედიცინის სადოქტორო პროგრამის სტუდენტებთან ინტერვიუების დროს მათ აღნიშნეს, რომ სურთ ჰქონდეთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში და კონფერენციებში/სემინარებში/ტრენინგებში.

უსდ უწევს სოციალურ- ეკონომიკურ მხარდაჭერას: იმ ოჯახებს, სადაც ორი წევრი ერთდროულად სწავლობს, თითოეული მათგანი სარგებლობს სწავლის საფასურის შემცირებით, ასევე უნივერსიტეტი სწავლის საფასურში ეხმარება გარკვეული კატეგორიის სტუდენტებს (სოციალურად დაუცველები, ობლები, იძულებით გადაადგილებული სტუდენტები, შშმ პირები და ა.შ.). ინფექციურ დაავადებათა და შიდსის ცენტრში და მრავალპროფილურ სამედიცინო ცენტრში–Healthycore-ში ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა შესაძლებლობა ენახა სტუდენტების სასწავლო ოთახები. ინტერვიუს დროს სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტს აქვს გასაჩივრების პროცედურები იმ შემთხვევებისთვის თუ რაიმე არ შეესაბამება სასწავლო პროცესს. ინტერვიუების დროს სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მათ სურთ გააუმჯობესონ კლინიკური

უნარების ლაბორატორია პრაქტიკისა და ტრენინგებისთვის.

უნივერსიტეტმა შეიმუშავა „სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესი“ სტუდენტების კვლევითი, კულტურული, სპორტული და საგანმანათლებლო ინიციატივების მხარდასაჭერად; გამოავლინონ თავიანთი ნიჭი, ხელი შეუწყონ თვითრეალიზებას და ეფექტურად გამოიყენონ თავისუფალი დრო. მიუხედავად ამისა, „სტუდენტური პროექტების დაფინანსების პროცედურა“ უნივერსიტეტის ვებგვერდზე მიუწვდომელია .

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამა
- უნივერსიტეტის ვებგვერდი
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სტუდენტების საერთაშორისო ღონისძიებებში ჩასართავად სასურველია გაუმჯობესდეს უნივერსიტეტის ხელშემწყობი მექანიზმები.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობა შია მოთხოვნებთან
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ შეესაბამება მოთხოვნებს	<input type="checkbox"/>

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამოუმუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სწავლებაში ჩართული პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ფუნქციებსა და მოქმედ კანონმდებლობას. ზოგიერთი აკადემიური პერსონალის კვლევითი გამოცდილება და ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული პუბლიკაციების სიები არ იყო მოწოდებული. მოწვეულ პერსონალს აქვს შესაბამისი ცოდნა, გამოცდილება და კომპეტენციები, რომელიც აუცილებელია რათა სტუდენტებს დაეხმაროს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში, მაგრამ არ ტარდება ტრენინგი, რომელიც დაადასტურებს, რომ პერსონალი იცნობს და იყენებს სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდებს.

მითითებული აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა მოიცავს ისეთი კვალიფიკაციის მქონე პერსონალს, რომელიც არაა სპეციფიკური სამედიცინო სფეროსთვის. თავის მხრივ, პერსონალისა და სტუდენტის თანაფარდობა ოპტიმალურია, მაგრამ პროგრამის ზოგიერთი ასპექტისთვის (მაგალითად, OSCE ორგანიზაცია) საჭიროა მეტი პერსონალი კონკრეტული უნარებითა და ცოდნით. კლინიკური კურსების უმრავლესობისთვის (შინაგანი მედიცინა, ქირურგია, გინეკოლოგია) პედაგოგთა რაოდენობა საკმარისია მხოლოდ პრაქტიკული სემინარებისა და ჯგუფური შეხვედრების ჩასატარებლად, რაც საკმარისი არ არის OSCE ტიპის გამოცდების ოპტიმალური დაგეგმვისა და ჩატარებისთვის.

უმადლეს სასწავლებელს აქვს მუდმივად განახლებადი დატვირთვის გეგმა პერსონალისთვის, დატვირთვა ოპტიმალურია. მონაცემები სხვა უმაღლეს სასწავლებლებში პერსონალის დატვირთვის შესახებ (ამონაწერი QMS- დან) ექსპერტებმა მიიღეს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისგან. მონაცემები არასრულია და არ შეესაბამება უმაღლესი სასწავლებლის მიერ მოწოდებულ ციფრებს.

სტუდენტთა კონსულტაციის საათები აღწერილია სილაბუსებში, მაგრამ სამუშაო დატვირთვის გეგმაში ცალკე არ არის განმარტებული. უსდ თვალყურს ადევნებს აკადემიური პერსონალის შენარჩუნება-გადინებას და ამჟამად ეს მაჩვენებელი ოპტიმალურია (5 წლის განმავლობაში თანამშრომელთა შენარჩუნების 84%) პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად. პროგრამის ადამიანური რესურსების უახლესი გამოწვევა იყო ახალი დეკანისა და პროგრამის ხელმძღვანელის არჩევის აუცილებლობა, რომლებიც პროგრამის

წარმატებით განხორციელების საკვანძო ფიგურებს წარმოადგენენ.

აღსანიშნავია, რომ სტუდენტების რაოდენობა დაგეგმილია სამტატო რაოდენობის საფუძველზე და პირიქით (სამტატო რაოდენობა განისაზღვრება დატვირთვის, ანუ სტუდენტთა რაოდენობის მიხედვით). დოკუმენტი სტუდენტური კონტინენტის დაგეგმვის მექანიზმის შესახებ ძალიან ბუნდოვნად და ზოგადად არის ფორმულირებული. დოკუმენტი პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შესახებ გვამღევეს ზუსტ მონაცემებს მხოლოდ სტუდენტთა რაოდენობის, როგორც თანამშრომელთა რაოდენობის განმსაზღვრელის შესახებ. ამ კონტექსტში მხედველობაში უნდა იქნას მიღებული სხვა ფაქტორები (ბაზრის კვლევა, ხელმისაწვდომობა და მოთხოვნა პერსონალზე, სივრცის ხელმისაწვდომობა კლინიკურ ბაზაზე, სწავლებაში ჩართულ თითო პერსონალზე პაციენტების რაოდენობა და ა.შ.).

პროგრამის ხელმძღვანელი არის კვალიფიციური პირი, რომელიც ახლახან გახდა პროგრამის წამყვანი და ჯერ კიდევ არ იცის პროგრამის ყველა დეტალი, მათ შორის პროგრამაში შეტანილი ცვლილებები ბოლო აკრედიტაციის შემდეგ, გამოვლენილი პრობლემები ან შესაბამისი დოკუმენტების ხელმისაწვდომობა. ამავდროულად, იგი ღიაა რჩევებისთვის და მზადაა მოისმინოს ნებისმიერი იდეა, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს სასწავლო პროცესსა და პროგრამის წარმატებაზე.

დამხმარე პერსონალის რაოდენობა და კვალიფიკაცია საკმარისია, რომ დააკმაყოფილოს პროგრამის საჭიროებები 700 სტუდენტისთვის.

თვითშეფასების ამგარიშის მიხედვით, პროგრამის პერსონალის სამეცნიერო/ კვლევითი შედეგი ბოლო 5 წლის განმავლობაში მოიცავს n=183 პუბლიკაციას სამეცნიერო ჟურნალებში. მიუხედავად ამისა, ამ კომუნიკაციების ხარისხი მეცნიერომეტრიული თვალსაზრისით (IF მნიშვნელობების რიცხვითი პარამეტრები, დამოუკიდებელი ციტირება) ზუსტად ვერ შეფასდა. ამ კუთხით უნდა ჩამოყალიბდეს მკაფიო პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს იმას, თუ რა არის აღიარებული კვლევად, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და პროგრამის სასწავლო სფეროში დადგენილ ნორმებს. პედაგოგთა ეს გაზომვადი მოლოდინები (კვლევით და სამეცნიერო საქმიანობაში ჩართულობა) ასევე არ არის მკაფიოდ განსაზღვრული. ამ მოლოდინებთან დაკავშირებული საქმიანობა გათვალისწინებული უნდა იყოს პერსონალის შეფასების და დაწინაურების კრიტერიუმებში.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი ⁶	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი ⁷	მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი
აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა	56	49	48	21
პროფესორი	20	17	17	10
ასოცირებული პროფესორი	30	26	26	7
ასისტენტ-პროფესორი	6	6	5	4
-ასისტენტი	-	-	-	-

⁶ ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

⁷ ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

მოწვეული პერსონალი	32	30	-	-
სამეცნიერო პერსონალი	-	-	-	-

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- პერსონალის CV-ები;
- პერსონალის სამუშაო დატვირთვა
- ინდივიდუალური რაოდენობრივი მონაცემები თვითშეფასების ანგარიშისთვის
- პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია
- სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია
- სილაბუსები
- გასაუბრებების შედეგები

რეკომენდაციები:

- უსდ-მ უზრუნველყოს, რომ პედაგოგიურ პერსონალს ჰქონდეს საკმარისი გამოცდილება და ტრენინგი პროგრამაში აღწერილი სწავლებისა და შეფასების მეთოდების გამოსაყენებლად.
- უსდ-მ უზრუნველყოს თითოეულ კურსში/საგანში საკმარისი პერსონალის არსებობა დარგის სპეციფიკური ცოდნით.
- უსდ-მ შეიტანოს პროგრამის შესაძლებლობებთან დაკავშირებული მეტი მონაცემი პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიაში.
- რეკომენდებულია, რომ პროგრამის ხელმძღვანელი სრულად იყოს ჩართული პროგრამის დიზაინის, განხორციელებისა და ხარისხის კონტროლის ყველა ასპექტში.
- უსდ-მ უზრუნველყოს პერსონალის დატვირთვის რეგულარულად განახლება ხარისხის მართვის სისტემის (QMS) პლატფორმაზე.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- პროგრამა მიიღებს სარგებელს სტუდენტების საკონსულტაციის საათების, როგორც პერსონალის დატვირთვის ნაწილის დათვლით.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობა შია მოთხოვნებთან
4.1 ადამიანური რესურსები	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტმა შეიმუშავა აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი, რომლის მიზანია დაადგინოს უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიღწევების შეფასების კრიტერიუმები, შეფასებაზე პასუხისმგებელი პერსონალი და მიღებულ შედეგების გამოყენების წესი. პერსონალის პედაგოგიური საქმიანობის შეფასების კომპონენტებია:

საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და შესრულების პროცესში ჩართვა, სასწავლო კურსების სილაბუსების სისტემატური განახლებისა და სრულყოფის პროცესში მონაწილეობა, სასწავლო მასალების შემუშავება, განახლება და გაუმჯობესება, შუალედური და დასკვნითი საგამოცდო მასალის მომზადება. პედაგოგიური აქტივობები ასევე ფასდება სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის (გამოკითხვის) და სტუდენტების გამოკითხვის შედეგების საფუძველზე.

პერსონალის მუშაობის და დასაქმების წახალისების ანალიზი ეფუძნება აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების ანალიზს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს რეკომენდაციებს და განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ საბოლოო ანგარიშს წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს. ასევე, სკოლის დეკანი, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან შეთანხმებით, უნივერსიტეტის რექტორს წარუდგენს წინადადებებს დასაქმების წახალისების შესახებ. უნივერსიტეტმა შეიმუშავა სამეცნიერო პერსონალის შეფასების წესი, რომელიც განსაზღვრავს სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის მინიმალურ მოთხოვნებს. განსაზღვრულია შეფასების შემადგენელი კომპონენტები. დადგენილია ანალიზის შედეგების შეფასების წამახალისებელი ზომები და მეთოდები. პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტი აქვეყნებს რეფერირებად და რეცენზირებად სამეცნიერო ჟურნალს „სპექტრი“ (ჟურნალი განთავსებულია Google Scholar-ში და აქვს DOI). მედიცინის სკოლა ზრუნავს პერსონალის განვითარებაზე, ტარდება სხვადასხვა ღონისძიებები, რისთვისაც გამოიყენება უნივერსიტეტის მატერიალური და ფინანსური რესურსები. უნივერსიტეტი ხელს უწყობს პერსონალის პროფესიულ განვითარებას.

პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით დაიგეგმა და განხორციელდა/ დაფინანსდა ტრენინგები სამეცნიერო კვლევებისა და უწყვეტი განათლების ცენტრისა და პერსონალის მართვის სამსახურის მიერ. აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ჩატარდა ტრენინგი „სამედიცინო განათლების მეთოდოლოგია“ და ტრენინგი „სამეცნიერო საგრანტო განაცხადის მომზადება“.

თვითშეფასების ანგარიშში მითითებულია რამდენიმე აქტივობა ადმინისტრაციული პერსონალისთვის: 1. ტრენინგი თემაზე: „ორგანიზაციული ქცევა - მენეჯერული დისციპლინა სამუშაო ადგილზე შრომის ეფექტურობისა და სამუშაო ორგანიზაციისადმი ერთგულების გასაუმჯობესებლად“ და ტრენინგი თემაზე „ორგანიზაციული განვითარების ინსტრუმენტები“. ტრენინგი თემაზე „ანტიპლაგიატის სისტემის მსგავსების ანგარიშის ახალი ვერსია“ - ელექტრონული ანტიპლაგიატის სისტემის Strikeplagiarism.com-ის

წარმომადგენლები.

თვითშეფასების ანგარიში მიუთითებს, რომ უნივერსიტეტში განხორციელდა აკადემიური პერსონალის სხვადასხვა აქტივობა: საჯარო ლექციები, მასტერკლასები, წიგნების პრეზენტაციები, შეხვედრები შესაბამისი სფეროს სპეციალისტებთან და ა.შ. თუმცა, ინტერვიუების დროს ზოგიერთმა მათგანმა გაიხსენა საჯარო ლექციები, ძირითადად, კოვიდის დროს მუშაობის შესახებ.

უნდა აღინიშნოს, რომ სქემები, რომლებიც ხელს უწყობენ კონკურენტუნარიან სამეცნიერო საქმიანობას და კვლევის წარმატებულობის აღიარებას რაოდენობრივი პარამეტრების და ხარისხობრივი აღმწერების (საინტელექტუალური ინდიკატორების) გამოყენებით, როგორც ჩანს, არ არის.

ასევე უნდა დაემატოს, რომ საჭირო იქნება მეტი ინტერნაციონალიზაცია პერსონალის/ სტუდენტების მობილობის აქტიური მხარდაჭერით. სამედიცინო მეცნიერებებში თანამშრომლობის სტრატეგია, სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან და კვლევით ჯგუფებთან თანამშრომლობის სტრატეგია შეიძლება გადაიზარდოს კვლევასა და განვითარებაში და განათლების გაუმჯობესებაში, ამიტომ აშკარად საჭიროა საქართველოს სამედიცინო სკოლებს შორის სინერჯის გაზრდა (მაგ. კოლეგების მოწვევა სპეციალურ ლექციებზე, ერთობლივი პროექტები და ა.შ.). თანამშრომლობითი ძალისხმევის რაოდენობა (გრანტები, ფონდები, პროექტები, ნაშრომები, დისერტაციები, თანამშრომლობის ხელშეკრულებები) იქნება კარგი მაჩვენებელი სამომავლოდ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი;
- ინტერვიუები პერსონალთან

რეკომენდაციები:

- უნდა განხორციელდეს სქემები, რათა ხელი შეეწყოს კონკურენტუნარიან სამეცნიერო საქმიანობას და კვლევითი სრულყოფილების აღიარებას რაოდენობრივი პარამეტრების და თვისებრივი აღმწერების (მეცნიერომეტრია, ინდიკატორები) გამოყენებით. განსაზღვრული სტრატეგიები უნდა განხორციელდეს საქმიანობაში.
- საჭიროა მეტი ინტერნაციონალიზაცია პერსონალის/ სტუდენტების მობილობის აქტიური მხარდაჭერით.

რჩევები პროგრამის შემუშავებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობა შიამოთხოვნებან	მეტწილად შესაბამისობა შიამოთხოვნებ	ნაწილობრივ შესაბამისობაშიამოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
------------	-----------------------------	------------------------------------	--	---------------------------

4.3.



აკადემიური,
სამეცნიერო და
მოწვეული
პერსონალის
პროფესიული
განვითარება

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კამპუსი მდებარეობს თბილისის ცენტრში და მოიცავს ბიბლიოთეკის რესურსებს, სასწავლო სივრცეებს, ლაბორატორიებს, კლინიკური უნარების ცენტრს, კომპიუტერულ ცენტრებს, საკონფერენციო დარბაზებს და ა.შ.

ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით განსაზღვრულ ლიტერატურას და სხვა სახის მასალებს. ბეჭდური რესურსებისა და ელექტრონული საშუალებების საბიბლიოთეკო ფონდი განახლებადია, ფეხდაფეხ მიყვება გარკვეულ სფეროში განვითარებას და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელებას. ბიბლიოთეკა შეიცავს შემდეგ სივრცეებს: წიგნის მაღაზია, სამკითხველო დარბაზები, სივრცე ბიბლიოთეკის პერსონალისთვის, სივრცეები შეხვედრებისთვის და ჯგუფური სამუშაოებისთვის და ა.შ. პერსონალი აწვდის სტუდენტებს ინფორმაციას ბიბლიოთეკის რესურსებზე და მომსახურებას. უნივერსიტეტში არსებობს ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი "open biblio". სტუდენტებს საშუალება აქვთ გამოიყენონ ელექტრონული სისტემა www.sdasu.ini.ge, რომელიც ასევე უზრუნველყოფს ელ. კატალოგს. სტუდენტებსა და პერსონალს აქვთ წვდომა საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო მონაცემთა ბაზებზე, კერძოდ: Cambridge Journals Online; e- Duke Journals Scholarly Collection; Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e- books; New England Journal of Medicine და ა.შ. სტუდენტები ინფორმირებული არიან რესურსების გამოყენების შესაძლებლობის შესახებ და იციან გამოყენების წესები:

კლინიკური უნარებისა და შესაძლებლობების ცენტრი აღჭურვილია მანეკენებით, მულაჟებით, სამედიცინო ინვენტარითა და აღჭურვილობით. თეორიულად, ცენტრი სტუდენტებს საშუალებას აძლევს შეიძინონ ის უნარები, რაც მათ სჭირდებათ სასწავლო გეგმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. თუმცა, ინვენტარი, მასალები და მარაგი მომავალში უნდა შეივსოს, რათა საკმარისი იყოს სტუდენტების განათლებისთვის. უნარების ლაბორატორიის ამჟამინდელი ტექნიკური ფონი საკმაოდ ნახშირის და მოძველებულია და ინვენტარს მნიშვნელოვნად სჭირდება განახლება რამდენიმე დიაგნოსტიკური / ტექნიკური / ინტერვენციული შესაძლებლობით.

ექსპერტთა პანელი ესტუმრა აფილირებულ კლინიკას (ისრაელ- ქართული მრავალპროფილური კლინიკა „Healthycore“) და ინფექციურ დაავადებათა და აივ ცენტრს. თითოეული კლინიკიდან ორმა ლექტორმა განმარტა სწავლების პროცესი მათ ორგანიზაციაში. მათ აღნიშნეს, რომ სტუდენტები უნდა დაიყოს მცირე ჯგუფებად, რათა

უზრუნველყონ მაღალი ხარისხის სწავლება.

უნივერსიტეტს თანამშრომლობის მემორანდუმი აქვს გაფორმებული სხვადასხვა კლინიკურ და დიაგნოსტიკურ ცენტრებთან: მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან, ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტთან, ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრთან და ა.შ. უნივერსიტეტმა გააფორმა ხელშეკრულება იჯარის შესახებ კლინიკა ვივამედის 1500 კვ.მ.-ზე. მიუხედავად ამისა, ინტერვიუებში აღინიშნა, რომ ის არ არის აქტიური და საავადმყოფო აღარ არის სდასუ-ს ბაზა. ვებგვერდზე არსებული კლინიკური ბაზების სია მოძველებულია და საჭიროებს განახლებას. SDASU- მ უნდა გაამდიეროს ძალისხმევა და გააფორმოს ხელშეკრულებები სხვა საავადმყოფოებთან, რათა გააუმჯობესოს სწავლების ხარისხი.

კამპუსს ასევე აქვს ეზო და პარკინგი. უნივერსიტეტში შემუშავებულია ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები, სამედიცინო დახმარება და გააჩნია საჭირო აღჭურვილობა. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პერსონალისა და სტუდენტების უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას, კერძოდ შპს „ალგანი“ უზრუნველყოფს პერსონალისა და სტუდენტების უსაფრთხოებას. ის უზრუნველყოფს უსაფრთხოებას შენობაში და მთელ ტერიტორიაზე. წესრიგის შესანარჩუნებლად, უნივერსიტეტმა დაამონტაჟა სათვალთვალო კამერები შენობების შიდა და გარე პერიმეტრებზე. დაცვის სამსახური არის ერთ-ერთი სტრუქტურული ერთეული, რომელიც იცავს უნივერსიტეტის ქონებას, უზრუნველყოფს სტუდენტებისა და პერსონალის ფიზიკურ უსაფრთხოებას. თუმცა, მთლიანობაში, მთავარ კორპუსში ინფრასტრუქტურა და საკლასო ოთახების მდგომარეობა საკმაოდ მოძველებულია. სტუდენტებმა ასევე აღნიშნეს, რომ მათ სურთ ჰქონდეთ უკეთესი კაფეტერია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუების შედეგები
- ადგილზე ვიზიტი
- ვებგვერდი

რეკომენდაციები:

- უნივერსიტეტში სტუდენტების კომფორტის ღონის ამალღების მიზნით გაუმჯობესდეს სასწავლო სივრცეების ინფრასტრუქტურა.
- განხორციელდეს სასწავლო ლაბორატორიების არსებული ტერიტორიის მოდერნიზება. განახლდეს არსებული ობიექტები სპეციფიური აღჭურვილობით, საჩვენებელი ხელსაწყოებითა და მასალებით, რომლებიც შეესაბამება სწავლების საგნებს.
- უნარ-ჩვევების ცენტრის არსებული ტექნიკური ფონი უნდა გაუმჯობესდეს და შემდგომ განვითარდეს დიაგნოსტიკური და ტექნიკური/ინტერვენციული შესაძლებლობებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.4. მატერიალური რესურსები	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სდასუ-მ უზრუნველყო სამედიცინო და სტომატოლოგიის სკოლის 2023 წლის ბიუჯეტი სამედიცინო პროგრამის საჭიროებების შესაბამისად. სკოლის ბიუჯეტი მოიცავს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ანაზღაურებას, წიგნადი ფონდისა და სასწავლო მასალების განახლებას, სამეცნიერო კვლევების დაფინანსებას, სტუდენტების დაფინანსებას, სოციალურ მხარდაჭერას და სხვა ღონისძიებების ხარჯებს. ფინანსური რესურსები ორიენტირებულია სკოლის ძირითადი აქტივობების ეფექტურად განხორციელებაზე. უნივერსიტეტს აქვს დაფინანსების დივერსიფიცირებული რესურსები და ადეკვატურად და ეფექტურად უზრუნველყოფს მათი რისკების მართვას. უნივერსიტეტის შემოსავლები მოიცავს სწავლის საფასურის, სახელმწიფო გრანტების, ეკონომიკური საქმიანობისა და სხვა სახის შემოსავლების სახით მიღებულ ფინანსურ რესურსებს. სამედიცინო პროგრამისთვის სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად შესაძლებელია. უნივერსიტეტმა განაცხადა, რომ მხარს უჭერს ინტერნაციონალიზაციის მოკლევადიან მიზანს და გამოყო რესურსები საერთაშორისო უნივერსიტეტებთან მოლაპარაკებების მხარდასაჭერად, მაგრამ ამ პროცესის ეფექტურობა ან ეფექტიანობა ჯერ კიდევ არ არის ნათელი; და ინფრასტრუქტურის განვითარებას - თუ დაიგეგმება - აშკარად დასჭირდება ბიუჯეტი. ინტერვიუების დროს ადმინისტრაციამ დაადასტურა სარეზერვო გეგმები სამედიცინო პროგრამის მხარდაჭერის საჭიროების შემთხვევაში, როგორცაა უნივერსიტეტის ბიუჯეტი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუების შედეგები
- სამედიცინო სკოლის ბიუჯეტი

რეკომენდაციები:

- გამოიყოს სახსრები სპეციალურად უნარ-ჩვევების ცენტრის ინტერნაციონალიზაციისა და საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობა შია მოთხოვნებთან
4.5. პროგრამის/ ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ შეესაბამება მოთხოვნებს	<input type="checkbox"/>

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

არსებობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად და პროგრამის წარმატების მისაღწევად. პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება „დაგეგმე-შეასრულე-შეამოწმე-იმოქმედე“ პრინციპს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი აქტიურად არის ჩართული პროგრამის ყველა

დონის შეფასებასა და განვითარებაში (მათ შორის, კლინიკური კურსების დაგეგმვასა და მონიტორინგში) და ამჟამად უფრო ინფორმირებულია პროგრესის, მიმდინარე პროცესებისა და საკითხების შესახებ, ასევე ნებისმიერი ცვლილების მიღმა არსებული მიზეზების შესახებ, ვიდრე პროგრამის ხელმძღვანელი და დეკანი (ორივე ახალი დანიშნულია). ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელმძღვანელობს სამუშაოს უმეტეს ნაწილს შეფასების ინსტრუმენტების შექმნაზე, შეფასების შედეგების ანალიზზე და დაწესებულებაში ხარისხის კულტურის განვითარებაზე. რამდენადაც სდასუ-ს ახლახან მოუწია ახალი დეკანის და სამედიცინო პროგრამის ხელმძღვანელის მოძიება, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს დროებით მოუწია დეკანის პასუხისმგებლობის აღება. თავის მხრივ, ამჟამად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს წამყვანი როლი აქვს პროგრამაში არსებული სისუსტეების იდენტიფიცირებასა და აღმოფხვრაში, რისთვისაც აბსოლუტურად აუცილებელია უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურის მეტი ძალისხმევა და საყოველთაო ჩართულობა.

პერსონალის შეფასების მეთოდოლოგია არსებობს, მაგრამ პერსონალმა ეს სრულად არ იცის. დოკუმენტი საკმაოდ დეტალურია, აღწერს ჩართულობას პროგრამისა და სილაბუსების შემუშავებაში, სასწავლო და საგამოცდო მიზნებისთვის მასალის მომზადებას, სტუდენტების შეფასებას, ასევე სამეცნიერო საქმიანობის შეფასებას. მიუხედავად ამისა, გამოკითხულმა თანამშრომლებმა არაფერი იცოდნენ შეფასების მექანიზმებზე ან მათი შეფასების შედეგებზე. პროგრამის გადახედვისას გათვალისწილებულ იქნა მიღებული შიდა ხარისხის უზრუნველყოფის შედეგები. გამოვლენილი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები იყო სტუდენტების პრაქტიკული უნარების ნაკლებობა და ინტერნაციონალიზაციის დაბალი დონე. პირველი შეძლებისდაგვარად მოგვარდა, მეორეზე კი სამუშაო პროცესი გრძელდება და მასში აქტიურად არის ჩართული ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, შეფასება და პროცედურები
- საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი;
- სილაბუსების ჩამონათვალი
- პერსონალის, დამსაქმებელთა, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები
- გამოკითხვის ნიმუშები
- სასწავლო პროცესის მონიტორინგის ჩამონათვალი
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესი;
- გასაუბრებების შედეგები

რეკომენდაციები:

- საკმარისი დეტალებითა და სიღრმისეულად ეცნობოს პროგრამის ყველა მონაწილეს პერსონალის შეფასების მექანიზმის დეტალები და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები.
- მოხდეს კმაყოფილების გამოკითხვების ინიცირება, პროგრამის შედეგების შემდგომი მონიტორინგი და, საჭიროების შემთხვევაში, სტრატეგიების მონიტორინგი ცვლილებების მხარდასაჭერად.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- უსდ-მ უზრუნველყოს, რომ ყველა დაინტერესებული მხარე ჩართული იყოს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში, რათა ხარისხის გაუმჯობესება ყველას

საქმედ იქცეს და უსდ-ში სათანადო ხარისხის კულტურა განავითარდეს.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.1 შიდა ხარისხის შეფასება	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის გარე შეფასება ჩაატარა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა. 2018 წელს განხორციელდა უნივერსიტეტის, როგორც დაწესებულების შეფასება და მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია 2 წლის ვადით. უნივერსიტეტის გარე შეფასების შედეგები გამოყენებული იქნა ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარების მიზნებისთვის, პროგრამაზე მომუშავე გუნდმა აკრედიტაციის წინა ვიზიტიდან მიღებული მნიშვნელოვანი რჩევები და რეკომენდაციები გაითვალისწინა. მიუხედავად იმისა, რომ არის გარკვეული რეკომენდაციები, რომლებიც ბოლომდე არ არის შესრულებული, მიგვაჩნია, რომ უნივერსიტეტს აქვს რესურსი მათი განხორციელებისთვის, მაგალითად, გააძლიეროს პროგრამის ინტერნაციონალიზაცია, მონიტორინგი, პროგრამის მოდულების ინტეგრაცია, შედეგების შეფასება, ხარისხის შიდა შეფასების მონიტორინგის მექანიზმების სრულად დანერგვა; კურსდამთავრებულთა დასაქმების შედეგებზე რეაგირება; პროგრამის შემუშავებაში დაინტერესებული მხარეების (მათ შორის სტუდენტების) ჩართულობის გაძლიერება. ამ ყველაფერს დიდი მხარდაჭერა ექნება, თუ მოწვეული პროფესიონალების/ექსპერტების აქტიური თანამშრომლობის სახით შეფასდება საგანმანათლებლო პროგრამა, სწავლის შედეგები, პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სწავლა-სწავლების და შეფასების მეთოდები, სასწავლო გეგმა და სილაბუსები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 25 სექტემბრის No74 გადაწყვეტილება.
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N 706151 (13.07.2021წ.)

რეკომენდაციები:

- გარე შეფასება უნდა დაიგეგმოს საქართველოში აკრედიტებულ უნივერსიტეტებთან ან სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და საგანმანათლებლო

დაწესებულებებთან თანამშრომლობით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2. გარე ხარისხის შეფასება	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება განხორციელდა აკადემიური და მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და პოტენციური დამსაქმებლების ჩართულობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის დასახვეწად. მონიტორინგის სისტემის შემადგენელი კომპონენტები შეიძლება დაჯგუფდეს შემდეგნაირად: 1. პროგრამის სტუდენტების შედეგების (ცოდნის, უნარების და ა.შ.) მონიტორინგი (სტუდენტების აკადემიური მოსწრების ინდექსი; სწავლის შედეგების შეფასება და ა.შ.), 2. საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფის მონიტორინგი (პროგრამაზე პასუხისმგებელი პერსონალის შემადგენლობა და კვალიფიკაცია; პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფა და ა.შ.); 3. სხვადასხვა რაოდენობრივი ინდიკატორების შეგროვება და ანალიზი (პროგრამაში ჩარიცხვის დინამიკა; გარე მობილობით პროგრამაში გადმოსული და პროგრამიდან გადასული სტუდენტების რაოდენობა და მათი თანაფარდობა; პროგრამის დასრულების მაჩვენებელი პროგრამის საფეხურისა და ხანგრძლივობის მიხედვით. თვითშეფასების ანგარიშში აღწერილია მის მიერ შემუშავებული მიდგომა, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის ეფექტურ მონიტორინგს და ეს დადასტურდა თვითშეფასების ჯგუფთან, ადმინისტრაციასთან და ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფთან ინტევიუს დროს, რომლებმაც მოიყვანეს ამის მაგალითები. პროცესი ციკლური და მიმდინარეა, თუმცა პროცესის განსაზღვრულ დროს, ხარისხის მართვის შესაბამისობის დეპარტამენტი შეიმუშავებს რეკომენდაციებს შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე და შემდეგ გადასცემს მათ დირექტორთა საბჭოს განსახილველად და რეაგირებისთვის. აღინიშნა, რომ ამ პროგრამასთან დაკავშირებით, პროგრამის შემუშავების პროცესში მიღებული დასკვნები

და რეკომენდაციები გაეგზავნა საბჭოს.

უნივერსიტეტი აგროვებს მონაცემებს სხვადასხვა წყაროებიდან სხვადასხვა მიდგომებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით. მათ შეაგროვეს ინფორმაცია დამსაქმებლებისგან მათი საჭიროებების შესახებ, რომ დამთავრების შემდეგ კურსდამთავრებულები იყვნენ „მზად პრაქტიკისთვის“.

მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტის მასშტაბით სისტემები, როგორც ჩანს, კარგად არის ჩამოყალიბებული და საჭიროებისამებრ უზრუნველყოფილია, შესაძლოა, კლინიკური სწავლების გაზრდით სხვადასხვა კლინიკებში, მიზანშეწონილი იყოს ისეთი სტრატეგიის განხილვა, რომელიც დაკავშირებულია კონკრეტული სფეროს (მედიცინა) შეფასებასთან (მაგ., კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასების გაძლიერება). უნივერსიტეტს სჭირდება ძლიერი პარტნიორობა სხვადასხვა დაწესებულებებთან როგორც ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ. შესაძლოა მიზანშეწონილი იყოს თანამშრომლობა სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის ამ ასპექტის შემუშავებაში და ისეთი მიდგომის შემუშავება, რომელიც არა მხოლოდ ეფექტური, არამედ ორივე მხარისთვის სასარგებლოც იქნება.

აღსანიშნავია, რომ მიღებული ინფორმაცია მონაცემთა დაცვის პოლიტიკისა და რეგულაციების პროცედურების შესახებ ბუნდოვანია. უსდ-მ იცის, რომ სტუდენტების მონაცემები და შეფასების შედეგები სენსიტიურია და კონფიდენციალურად განიხილება, მაგრამ შესაძლოა დროული იყოს მონაცემთა დაცვის მიმდინარე პოლიტიკის შესაბამისობაში მოყვანა მონაცემთა დაცვის ზოგად ევროპულ რეგულაციასთან (GDPR, EU 2016).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები
- გამოკითხვის ფორმები
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები.

რეკომენდაციები:

- განხორციელდეს შეფასების არაპირდაპირი მეთოდები, მათ შორის დაინტერესებული მხარეების - კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვა.

რჩევები პროგრამის შემუშავებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობა შიდა მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა შიდა მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობა შიდა მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობა შიდა მოთხოვნებთან
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ შეესაბამება მოთხოვნებს	<input type="checkbox"/>

თანდართული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) -
 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: საქართველოს
 დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი, შპს
 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:
 მედიცინა, ერთსაფეხურიანი, უმაღლესი განათლების II საფეხური
შესაბამისობა პროგრამის სტანდარტებთან

შეფასება სტანდარტები	შესაბამისობა შია მოთხოვნებ თან	მეტწილად შესაბამისობ აშია მოთხოვნებ თან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1. საგანმანათლებლო პროგრამის ამოცანები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

ხელმოწერები

მიჰალი ბორომ

აკრედიტაციის ექსპერტთა
პანელის თავმჯდომარე.
აკრედიტაციის ექსპერტთა
პანელის წევრები სახელი,
გვარი, ხელმოწერა
სახელი,
გვარი,
ხელმოწერა
სახელი,
გვარი,
ხელმოწერა
სახელი,
გვარი,
ხელმოწერა